ხობის მოამბე

№10 (7052) * 13 მაისი,
პარასკევი * 2011 წელი.
ფასი 50 თეთრი



საქართველოს პარლამენტის წევრი გოდერძი ბუკია პოლიტიკაში ბიზნესიდან და დიპლომატიური სამსახურიდან მოვიდა. თუ აღვნიშნავთ, რომ ზედიზედ მესამე მოწვევის პარლამენტის მაქორიტარი დეპუტატი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, უპარტიოა, ნათელი გახდება, რომორი ავტორიტეტით სარგებლობს ის მუშობლიურ რეგიონში.

არ თვლის, რომ პარტიული კუთვნილება გადამწყვეტია სამუშობლისა და კუთხის საკეთილდღეო საქმეების საკეთებლად.

ერთგულად მისდევს მის მიერ ჩამოყალიბებულ ცხოვრებისეულ კრედოს: „ნუ ამაყობ, რომ სიკეთეს აკეთებ, ის უფლის ნაბოძარია, იგი ისევე უხდება ადამიანს, რომორც კარგი სიმოსი“ (ალბერტ ეინშტეინი).

მიუხედავად იმისა, რომ პარლანტენტარი დაგვირთული გრაფიკით ცხოვრობს, პარალელურად არის განათლების, კულტურისა და სულიერების აღორძინების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობის“ პრეზიდენტი, თუ რამდენად შეეართებით და წარმატებით ეკიდება ამ საქმესაც, ამაზე მის მიერ ორგანიზებული ტრადიციადქცეული, ხობის საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“ მოწმობს, რომელიც უკვე საერთო სახალხო ზეიმად იქცა არა მარტო სამეგრელოს რეგიონში, არამედ მთლიანად საქართველოსთვის. ეს ფესტივალი 2003 წელს გოდერძი ბუკიას ინიციატივითა და ხელშეწყობით დაფუძნდა და წელს 24–25 სექტემბერს, უკვე სიუბილეო, მეხუთე ფესტივალი გაიმართება.

გოდერძი ბუკია: არ იქნება დასაქმება, არ იქნება საშუალო ფენა, არ იქნება მყარი სახელმწიფო!

ბატონო გოდერძი, თქვენ ისედაც დატვირთული ცხოვრებისეული გრაფიკით ცხოვრობთ, არ გაგიჭირდათ ისეთი გრანდიოზული ღონისძიების ორგანიზატორობა, როგორც ხობის საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზეა?“

–მართალია, ამ ფესტივალის ორგანიზება მთლიანად ჩემი იდეაა, მაგრამ ჩემს მიერ ჩამოყალიბებულ ფონდთან ერთად მისი ორგანიზატორები არიან: **ქართული ხალხური სიმღერების საერთაშორისო ცენტრი და მისი ხელმძღვანელი–ანზორ ერქომაიშვილი, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია სამეგრელო-ზემო სვანეთში, ხობის რაიონის საკრებულო და გამგეობა.** ისე-

>>>>> 3

პროფესიულ დღესასწაულს გილოცავთ!

სახელმწიფოს არსებობისა და სრულფასოვნებისთვის უმთავრესი წესრიგია, ის წესრიგი, რომელსაც კანონის უზენაესობა ჰქვია და ამისთვის გადებული ყოველი წუთი ძვირფასია ნებისმიერი მოქალაქისთვის, რომ სრულყოფილი საზოგადოების წევრად იგრძნოს თავი.

საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სხვა მიღწევათა შორის საზოგადოებრივი და სამართლებრივი ინსტიტუტების განვითარებამ უდიდესი გარდატეხა შეიტანა ქვეყნის საშინაო და საგარეო ურთიერთობებში. გამოკვეთილად იკლო დანაშაულებათა რიცხვმა.

ქვეყანას სტაბილური ქვეყნის სტატუსი მიენიჭა. ეს რამდენიმე წელიწადში სწორედ სისტემის რეორგანიზაციითა და კვალიფიკაციური კადრების მოსვლით გახდა შესაძლებელი.

ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ერთ-ერთი მათგანია, ვინც სტაბილურობას, უსაფრთხო გარემოსა და სანდოობას გრძნობს ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან. ამიტომაც მინდა პროფესიული დღესასწაული-6 მაისი, პოლიციის დღე მივულოცო შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა მუშაკს და მათ შორის ხობის მუნიციპალიტეტის სამართალდამცავი ორგანოს ყველა თანამშრომელს, პირად შემადგენლობას, მათ, ვინც მუნიციპალიტეტის მოსახლეობას და აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს სტაბილურობასა და უსაფრთხოებას იცავს.

იგორ ტყებუჩავა,
მუნიციპალიტეტის გამგებელი.

9 მაისი–ფაშიზმის დამარცხების დღე

>>>>> 5

ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“ იუბილეს შესახვედრად

ჩვენი სახელოვანი წინაპრები ექვთიმე ცირდავა

>>>>> 11

ხობი, აგრარული რაიონი

ბიდა მეშრნეობის გასაძლიერებლად

>>>>> 6

ფინ „ალგის“ გაძლიერდეს გვერდითდეს

>>>>> 7-8

ფერმერი–ქვეყნის სიძლიერე

კაცი, რომელიც ფერმერად ჩამოყალიბდა

>>>>> 4

ხალხის სამსახურში

სხვა ბედნიერება ასეც უნატრია...

>>>>> 12

სოფელი

„ჩემი სოფელი ჩემი სიამაყეა!“

>>>>> 6

მიხეილ სააკაშვილი–საქართველოში დანაშაული გაცილებით ნაკლებია, ვიდრე რუსეთსა და პოსტსაბჭოთა სივრცეში

საქართველოში დანაშაული გაცილებით ნაკლებია, ვიდრე რუსეთსა და ზოგადად პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბათუმში, პოლიციის აღლუმის გახსნაზე განაცხადა.

„საქართველოში ასევე უფრო ნაკლები დანაშაულია, ვიდრე გერმანიაში, საფრანგეთსა თუ ინგლისში და ეს არ არის მხოლოდ ციფრები. ჩვენმა ხალხმა იცის, რომ 2004 წელს, როცა დავიწყეთ პოლიციის რეფორმა, იყო დღეები, როცა დღეში იპარავდნენ 30-40 მანქანას. დღეს საქართველოში შეუძლიათ, მანქანები არ ჩაკეტონ, შვილები ქუჩაში თამამად გაუშვან. ეს ყველაფერი თქვენ გააკეთეთ“,–მიმართა მან აღლუმზე შეკრებილ პოლიციელებს.

მისი თქმით, ასევე პოლიციის დამსახურებაა ეკონომიკის მაღალი ტემპით განვითარება. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ პოლიციელის ხელფასი იმაზე ნაკლებია, ვიდრე ისინი იმსახურებენ და საქართველოს სახელმწიფო რესურსების მობილიზებას მოახდენს იმისთვის, რომ ეს ხელფასი გაიზარდოს. პრეზიდენტმა ასევე ისაუბრა პოლიციელების საბინაო პირობების გაუმჯობესების აუცილებლობაზე და განაცხადა, რომ სახელმწიფო ამ პრობლემაზე მუშაობს.

„მაგრამ მთავარი, რისთვისაც თქვენ მუშაობთ, არის ის, რაც მიუწვდომელია ჩვენი მტრისთვის და მათთვის, ვინც ებრძვის მომავალს, კანონის უზენაესობას და ვინც მაფიოზურ, კრიმინალიზირებულ, ნირწამხდარ, მუხლებზე დაჩოქილ საქართველოს მისტირის. მთავარი, რაც ყველამ ერთად აღვადგინეთ, არის განცდა იმისა, რომ ეს არის ჩვენი ქვეყანა და თითოეულ ჩვენგანს ეკუთვნის მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობისა და რელიგიური მრწამსისა. ეს არის განცდა იმისა, რომ როგორი მტერიც არ უნდა გვყავდეს და როგორი წინააღმდეგობაც არ უნდა გაგვიწიონ, ჩვენ მაინც უფრო მეტად ორგანიზებულები ვიქნებით, სულიერად უფრო მტკიცენი ვიქნებით და რაც მთავარია, გვექნება ჩვენი ღირსება. ყველამ ერთად დავუბრუნეთ ჩვენს ქვეყანას ის, რაც ყველაზე მეტად არ სიამოვნებს ჩვენს მტერს–ჩვენი ქვეყნის ღირსება“, - განაცხადა პრეზიდენტმა.

მან აღლუმზე შეკრებილებს დღევანდელი დღე მიულოცა და განაცხადა, რომ გიორგობის დღესასწაული თითოეული ქართველისთვის განსაკუთრებული დღეა. პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ დღეს ასევე არის აჭარის გათავისუფლების და ქართული პოლიციის დღე.

„ინტერპრესნიუსი“

გრიგოლ ვაშაძე: ევროკავშირის ქვეყნებში ლეგალური მუშაობის შესაძლებლობა საქართველოს მიერ წინ გადადგმული ნაბიჯია

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე საქართველოს მოქალაქეებისათვის ევროკავშირის ქვეყნებში ლეგალური მუშაობის შესაძლებლობას მორიგ წინ გადადგმულ ნაბიჯად აფასებს.

„საქართველო ევროკავშირთან უკვე რამდენიმე წელიწადია ქმნის შესაბამის სამართლებრივ ბაზას. ყურადღება მინდა მივაპყრო ხელშეკრულებას, რომელიც საქართველოსა და ევროკავშირს შორის მაღალკვალიფიციური კადრების გადაადგილებას ითვალისწინებს. მთავრობის ყველა წევრს გვაქვს ძალიან მარტივი ინსტრუქცია პრეზიდენტისგან: გავაკეთოთ ყველაფერი, რაც საქართველოს ეკონომიკურ ზრდას და დასაქმებას შეუწყობს ხელს. ეს დადებითი ფაქტია და კიდევ ერთი გადადგმული ნაბიჯია ჩვენს წინაშე მდგარი ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად“,–განუცხადა ვაშაძემ ჟურნალისტებს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს მოქალაქეებს ევროპის ქვეყნებში ლეგალური მუშაობის შესაძლებლობა ექნებათ. მაგალითისთვის, საფრანგეთში ლეგალური მუშაობის უფლება საქართველოს 200 მოქალაქეს ექნება.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ვაშინგტონში აშშ-საქართველოს თანამშრომლობის ქარტიის ფარგლებში შექმნილი ეკონომიკური სამუშაო გუნდის შეხვედრა გაიმართა

ვაშინგტონში აშშ-საქართველოს თანამშრომლობის ქარტიის ფარგლებში შექმნილი ეკონომიკური სამუშაო გუნდის შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლების გარდა, აშშ-ის ფინანსური სტრუქტურებისა და „ათასწლეულის გამოწვევის ფონდის“ ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

„საუბარი იყო იმ პროექტებზე, რომელიც „მილენიუმის გამოწვევის პროგრამის“ ფარგლებში საქართველომ უნდა წარადგინო, როგორც იცით, მეორე ტრანში იქნა მიღებული ჩვენი ქვეყნის მიერ. ასევე საუბარი გაიმართა ეკონომიკურ თემებზე–სავაჭრო ურთიერთობებით დაწყებული, ენერგეტიკული პროექტებით დამთავრებული. ასეთი შეხვედრები დადასტურებაა იმისა, რომ აშშ-სთან საქართველოს ურთიერთობები არა მარტო პოლიტიკისა და უსაფრთხოების სფეროში, არამედ ეკონომიკის სფეროშიც მაღალ დონეზეა“,–განუცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგი კაპანაძემ.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ღაბიჯესტი

დალია გრიბაუსკაიტე: საქართველო რეგიონში მნიშვნელოვანი ქვეყანაა

„საქართველო რეგიონში მნიშვნელოვანი ქვეყანაა სტაბილურობის თვალსაზრისით“,–ამის შესახებ ლიტვის პრეზიდენტმა დალია გრიბაუსკაიტემ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, გამგზავრებისას განაცხადა.

გრიბაუსკაიტეს თქმით, ლიტვა მხარს უჭერს საქართველოს მცდელობას, აღადგინოს ტერიტორიული მთლიანობა.

„ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს ძალისხმევას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანებისათვის. მე აქ ასევე ვიმყოფები, როგორც ეუთო-ს თავმჯდომარე ქვეყნის ლიდერი. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის კონფლიქტები, რომელიც რეგიონშია და ჩვენ გვინდა, რომ ეს კონფლიქტები მშვიდობიანად მოგვარდეს“,–განაცხადა დალია გრიბაუსკაიტემ.

საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის თქმით, ლიტვა საქართველოს განსაკუთრებული მხარდამჭერია და ის ყოველთვის იცავს საქართველოს ინტერესებს საერთაშორისო არენაზე.

დალია გრიბაუსკაიტე საქართველოს ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით გუშინ ეწვია. ვიზიტის ფარგლებში ის შეხვდა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. გვირგვინით შეამკო ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ გმირთა მემორიალი, მოინახულა ოკუპაციის მუზეუმი, ეწვია მცხეთას და მიხეილ სააკაშვილთან ერთად ძველი თბილისიც დაათვალიერა.

ლიტვის პრეზიდენტმა ვიზიტი დაასრულა.

„ინტერპრესნიუსი“

მანანა მანჯგალაძე–საქართველო მტკიცე მხარდაჭერას უცხადებს აშშ-ს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში

„საქართველო მტკიცე მხარდაჭერას უცხადებს აშშ-ს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“,–ამის შესახებ პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ დღევანდელ ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა.

როგორც მანჯგალაძემ აღნიშნა, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ჩატარებული წარმატებული ოპერაცია, რის შედეგადაც ალ-ქაიდას ლიდერის ოსამა ბინ ლადენის ლიკვიდაცია მოხდა, მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია მსოფლიოში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.

„მიუხედავად ამ დიდი გამარჯვებისა ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ გრძელდება. დარწმუნებულები ვართ, რომ არ არსებობს სხვა ალტერნატივა, გარდა სამართლიანობის ზეიმისა“,–განაცხადა მანანა მანჯგალაძემ.

მისივე შეფასებით, ეს სპეცოპერაცია ამერიკელი ხალხისა და ამერიკის ხელისუფლების უდიდესი გამარჯვებაა.

მანჯგალაძის თქმით, ამ ოპერაციის წარმატებამ ცხადყო ვაშინგტონის წარმატება გლობალურ საკითხებში და განსაკუთრებით ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

„ინტერპრესნიუსი“

აშშ-ის სენატში საქართველოს შესახებ რეზოლუცია შევიდა

ამერიკის შეერთებული შტატების სენატში საქართველოს შესახებ რეზოლუცია უკვე შევიდა. დოკუმენტში, რომელიც საკანონმდებლო ორგანოს ორივე პარტიის წარმომადგენლებმა შეიმუშავეს, აშშ-ს სენატი რუსეთს საქართველოს ტერიტორიიდან ჯარების გაყვანისკენ მოუწოდებს.

რეზოლუციაში ასევე დაგმობილია რუსეთის, როგორც კონფლიქტის მონაწილე მხარის აგრესია.

დოკუმენტს თვის ბოლოს დაამტკიცებენ, თუმცა იქამდე კომიტეტებში განიხილავენ.

საქართველოში აშშ-ის ელჩის თემურ იაკობაშვილის შეფასებით, სენატის მიერ საქართველოს საკითხზე რეზოლუციის მომზადება სერიოზული მხარდაჭერაა.

„მხარდაჭერა, რომელიც არც აქამდე გვაკლდა ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან, ახლა უფრო გაათმაგებულია, რადგან დოკუმენტში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საუბარია არა კონფლიქტებზე საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ მხოლოდ ერთ კონფლიქტზე–საქართველოსა და რუსეთს შორის. ასევე, სენატის რეზოლუციის ტექსტში გამოყენებულია ტერმინი არა მხოლოდ „ოკუპაცია“, არამედ მარიონეტული რეჟიმები მოხსენიებულია ზუსტად ისე, როგორც ქართულ დოკუმენტებში“,–აღნიშნა იაკობაშვილმა.

„ჯი-ეიჩ-ენი“

1 <<<<<

გოდერძი ბუკია: არ იქნება დასაქმება, არ იქნება საშუალო ფენა, არ იქნება მყარი სახელმწიფო!

გოდერძი ბუკია დაიბადა 1952 წლის 19 ოქტომბერს; ს.პ.ი.-ის არქიტექტურის ფაკულტეტისა (1975 წ.) და მოსკოვის საგარეო ვაჭრობის ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტის ფილიალის (1983 წ.) დასრულების შემდგომ, სხვადასხვა დროს იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის, კომკავშირის ოქტომბრის რაიკომის მდივანი, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე. კპ საბურთალოს რაიკომის მდივანი, ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი, სექტორის გამგე.

2000–2003 წწ. იყო საგანგებო დავალებათა ელჩი; 2004 წლიდან საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „საქართველოს რეგიონები–მაჟორიტარები“ წევრი. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრი, 2001 წლიდან განათლების, კულტურისა და სულიერების აღორძინების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ხობის“ პრეზიდენტი, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მიღებული აქვს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი. ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის ჯილდო „ოქროს ფრთა“. 2000წ. დასახელებულია „ირაო“-ს წლის საუკეთესო ადამიანად. საქართველოს IV, VI და VII მოწვევის პარლამენტის წევრი. პოლიტიკური კუთვნილება: უპარტიო. მეუღლე: მანანა კვირიკაშვილი და ორი ქალიშვილი: ნათია და ლალი.

თი ავტორირეტული პიროვნებები, როგორებიც არიან **ვახტანგ როდონაია, გომარ სიხარულიძე,** სამწუხაროდ, აწ გარდაცვლილი პიროვნებები: **ალექსანდრე ბასილაია, ბორის წიფურია** და სხვები. ფესტივალის ავტორიტეტისა და პოპულარობის ამაღლებისთვის მეტად მნიშვნელოვანია **საქართველოს პრეზიდენტის ბატონ მიხეილ სააკაშვილის დიდი მხარდაჭერა. ის და მისი მეუღლე, ქალბატონი სანდრა, გამუდმებით სტუმრობენ ფესტივალს.**

ფესტივალს მადლმოსილება შესძინა და წარმატება დაანათლა

უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის ილია მეორის ლოცვა კურთხევამ, რომელიც ყოველ ფესტივალს ესწრება.

საკმაოდ შრომატევადი სამუშაოები გაქვთ გაწეული მეგრული ფოლკლორის ნიმუშების აღდგენისა და ნოტებად გამოცემის მხრივ. კონკრეტულად რას გვეტყოდით უშუალოდ ფონდის საქმიანობის შესახებ?

–დიახ, სწორედ ამ ფესტივალის ფარგლებში მოვიძიეთ არქივები და აღვადგინეთ 1000-მდე უნიკალური მეგრული სიმღერა. გამოვეცით კრებული „ქართული ხალხური მუსიკა (სამეგრელო)“, რომელშიც შევიდა ქართული ხალხური მუსიკის მოამაგეთა მიერ ათწლეულების განმავლობაში შეგროვებული და ნოტებად ჩაწერილი მეგრული სიმღერები. გამოცემულია ასევე უნიკალური მასალები: სანოტო კრებულები (სიმღერების ტექსტები ქართულ-ლათინური ტრანსლიტერაციით); საუკეთესო ლოტბართა მონოფონოგრაფები, ცნობარები, კატალოგები, ბროშურები; უნიკალური კომპაქტდისკები ცნობილ მომღერალთა ხმოვანი ჩანაწერებით. ყველა ეს გამოცემა, კომპაქტდისკები, ნოტები და სხვა მასალები გაიგზავნა მსოფლიოს კულტურულ ცენტრებში და ჩვენი ფოლკლორი გაიცნო მთელმა მსოფლიომ. ჩვენ შევძელით ის, რომ ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი დიდი ეროვნული საგანძური გადაგვეცა ჩვენი მომავალი თაობებისათვის და გადაცემული ყოფილიყო ის თანამედროვე ციფრული მატარებლებით.

მესამე ფესტივალზე, ეს იყო 2007 წელს, თავისი არსითა და მნიშვნელობით კიდევ ერთი უნიკალური პროექტი განხორციელდა–ხობში გაიხსნა „ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმი (სამეგრელო)“, რომელსაც ანალოგი არა აქვს მსოფლიოში, ქართული ხალხური სიმღერის პროპაგანდის მიზნით ფონდი ეწევა საგამომცემლო-მთარგმნელობით საქმიანობასაც. სისტემატურად გამოსცემს სანოტო კრებულებს, კატალოგებს, ცნობარებს, მონოგრაფებს, კომპაქტდისკებს.

მე ვამაყობ, რომ შევძელით ამის გაკეთება და მიხარია, რომ არა მარტო მე, არამედ ყველამ, ვინც ამ ღონისძიებაში არის ჩართული, ჩვენი წილი აგური დავდეთ ფოლკლორის, ამ ეროვნული საგანძურის განვითარების საქმეში. ხობის ფესტივალის წარმატება, ყველაფერთან ერთად, განაპირობა თანამოაზრეთა იმ შესანიშნავმა შემოქმედებითმა ჯგუფმაც, რომელიც ამ იდეის განსახორციელებლად ჩემს გვერდით შეიკრიბა და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ხობის ფესტივალი მასშტაბურ შემოქმედებით პროექტად ქცეულიყო.

ეს ფესტივალი უკვე გასცდა საქართველოს ფარგლებს...

–დიახ, ქართულ ანსამბლებთან და ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან ერთად, ფესტივალში სისტემატურად მონაწილეობდნენ აშშ-ს, საფრანგეთის, გერმანიის, რუსეთის, ჰოლანდიის, ავსტრიის, კანადის, ნორვეგიის, ბელგიის, თურქეთის, ირლანდიის, ავსტრალიის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. მაგალითად, ბოლო ფესტივალის მსვლელობისას ხობმა, დაახლოებით 3500 სტუმარს უმასპინძლა.

თქვენ პოლიტიკაში ბიზნესიდან მოსული პიროვნება, მითუმეტეს ხედავთ, რომ რეგიონისათვის ერთ-ერთ უპირველეს პრობლემად დასაქმების საკითხი დგას და განსაკუთრებით მწვავედ, ახალგაზრდებში. როგორ გესახებათ, ამ პრობლემის მოგვარება?

–დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხი ყველას აღელვებს. ვიტყვი იმას, რომ თუ არ იქნება დასაქმება–არ იქნება საშუალო ფენა, საშუალო ფენის გარეშე არ იქნება მყარი სახელმწიფო. არ არსებობს შემოსავლის სხვა წყაროები, ამიტომ ყველაფერი დამოკიდებულია სახელფასო სტრუქტურებზე. ამჟამად ჩვენი პრიორიტეტია პროფესიული სასწავლებლების განვითარება, ვინაიდან ქვეყანას სჭირდება კარგი სპეციალისტები. რეგიონში სრული დატვირთვით იწყებს მოქმედებას ყულევის ტერმინალი, სადაც ჩემი უდიდესი წვლილიცაა ჩადებული, ფოთში ვითარდება თავისუფალი ინდუსტრიული ზონა და მიმაჩნია, რომ მათი ამოქმედება მძლავრი სტიმულის მიმცემი გახდება რეგიონში დასაქმების პრობლემის მოგვარების საქმეში.

ბატონო გოდერძი, თქვენი ერთ-ერთი ქალიშვილი სამოდელო ბიზნესს მისდევს და ლონდონში წარმატებულ ბიზნეს-საქმიანობას ეწევა. ხომ არ გეგმავს საქართველოში ჩამოსვლას?

–დიახ, ჩემმა უმცროსმა ქალიშვილმა ლალიმ (ლაკო) თბილისის ა. ქუთათელაძის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო აკადემიის დასრულების შემდგომ, მეორე განათლება სამოდელო ბიზნესის განხრით ლონდონში, ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სასწავლებელში მიიღო და უკვე რამდენიმე საერთაშორისო ჩვენებაც მოაწყო, მილანში, ლონდონში, კიევში. მიხარია, რომ უკვე აქვს საკუთარი სტილი, რომელშიც ჭარბად იყენებს ქართული სამოსის ელემენტებს და საკმაო პოპულარობითაც სარგებლობს მომხმარებელში, წარმოდგენილია მთელ რიგ სამოდელო ბუტიკებში, აქვს საკუთარი ონლაინ მაღაზია ჰონკონგში, საქართველოსთან დაკავშირებითაც აქვს, რა თქმა უნდა გეგმები, მის ვებ-გვერდზე WWW.lakobukia.com ნებისმიერ დაინტერესებულს შეუძლია გაეცნოს ლალის შემოქმედებას.

ლაკო ბუკიას მოდელები

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, თქვენს მიერ, ხობში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სამონასტრო კომპლექსი შენდება, რომელშიც მთელი რაიონის მოსახლეობა არის ჩართული. კონკრეტულად რას გვეტყოდით იქ მიმდინარე სამუშაოების შესახებ?

–ასეთი სიდიდის ახალი სამონასტრო კომპლექსი ერთადერთი იქნება საქართველოში, აქვე იქნება უწმინდესის რეზიდენციაც. სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე დავრგეთ ათასობით ძირი ციტრუსის ნერგი. იმედია, ღვთის შეწევნით და ხალხის თანადგომით, სამონასტრო კომპლექსი, სულ მალე, 25 სექტემბრისთვის, უწმინდესის კურთხევით ამოქმედდება. მე ბედნიერი ვარ იმით, რომ ამ ადგილიდან დაილოცება ჩემი ხობი და სრულიად საქართველო.

რას გვეტყვით ინტერვიუს დასასრულს?

–საქართველოს და ქართველ ხალხს, ჩემს ხობელებს, ვუსურვებ კეთილდღეობას, ვულოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს და სწამდეთ, რომ ერთად დგომით და მონდომებული შრომით ყველაფერს შევძლებთ.

გაზეთი „CAUCASUS BUSINESS“

ფერმერი-ქვეყნის სიძლიერე

დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია ხობელებისათვის კარგად ნაცნობი პიროვნება, წარსულში „წარსულის ღიმილის“, კივის პლანტაციების მფლობელი და მრავალი სხვა წამოწყების. ინიციატორი მოგელ სოსელია.

ამჯერად მას უკვე ფერმერის ამპლუაში გავეცნობით, რადგანაც საქართველოში დღეისთვის სოფლის მეურნეობა აღორძინების გზაზეა და მას დასაბამი სწორედ ფერმერებმა უნდა დაუდონ. თავად მოგელი საკმაოდ გამოცდილი ადამიანია. საქმე უყვარს და სხვის დასაქმებასაც ცდილობს.

როგორც მან ჩვენთან დიალოგში აღნიშნა, ფერმერთა საქმიანობაში მთავარი და წარმატების საიდუმლო შრომისმოყვარეობა და საქმის კარგად დაგებმარებაა. ასევე, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ათვისება-დანერგვა.

სამ ათეულ წელზე მეტია, რაც მოგელი ამ საქმიანობას ეწევა. ჩვენს მუნიციპალიტეტში თითქმის ყველამ იცის მისი შესაძლებლობები. ისიც კარგად ახსოვთ, იტალიელებთან ერთად როგორ შეძლო ინვესტიციების წარმატებით განხორციელება. მისი ენთუზიაზმი კივის პლანტაციების გაშენების საქმეში იმ დროისთვის საკმაოდ სალაპარაკო თემა გახლდათ.

ჯაჭი, რომელიც ფერმერად ჩამოყალიბდა

ცოტა რამ მოგელი სოსელიას შესახებ

მისთვის შრომა უცხო არასოდეს ყოფილა. მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა. მამა ვარლამ სოსელია ომის ინვალიდი გახლდათ და ოჯახში კაცისა თუ ქალის საქმეს ძირითადად დედა–საშა შელია განაგებდა. მართალია, ქალისთვის ყველა საქმის კეთება გაუსაძლისიც კი იყო, მაგრამ რა ექნა, ოჯახს უნდა გაძღოლოდა. 6 შვილი და ავადმყოფი მეუღლისთვის ხელი უნდა შეეწყო, ცხოვრების საშუალება შეექმნა.

ოჯახს, როგორც კი წამოიზარდნენ შვილები, გაძლიერება დაეტყო. ყველა ერთმანეთს ეხმარებოდა, ურთიერთმხარში დგომით საქმე წინ მიდიოდა. მთელი ოჯახი უვლიდა 20-ზე მეტ ძროხასა და მის ნამატს, 5 კამეჩს, 20-მდე ღორსა და გოჭებს, ჰ ყავდათ ასობით ფრთა ქათამი, იხვი, ბატი, ინდაური, სახნავ-სათესი ფართობი...

–ოჯახმა შრომაში გამომაწრთო. ცხოვრების ეტალონად ყოველთვის დედა მევლინებოდა. ბევრჯერ მიფიქრია, მასავით გამრჯე ვყოფილიყავი და საქმე მასავით მემართა. დედის მიერ გაკვალული გზა ცხოვრებაში გამომადგა მისი მიბაძვით ნამდვილი მუშაკაცი გავხდი,–ამბობს ჩემთან საუბარში...

ცხოვრების პირველი ნაბიჯები

მისი ბავშვობა სკოლაში სწავლასა და შინ შრომაში გაილია. სკოლის შემდეგ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. შინდაბრუნებული თადარიგის ოფიცრის ტიტულთან ერთად ახალობლებმა მოგელი მოჭიდავის ამპლუაშიც იხილეს. ის საბჭოთა კავშირის სამხედრო ძალების პრიზიორი იყო ჭიდაობაში.

ჯარგამოვლილი სპორტსმენი სწავლით დაინტერესდა, დაამთავრა თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტი, შემდგომ კი მოსკოვის ეკონომიკის ინსტიტუტის თბილისის ფილიალი...

ცხოვრება თავის კალაპოტში დგება და მოგელი სოსელია უკვე კარგად ფეხმოკიდებული პიროვნებაა.

მისი, როგორც მეურნე ადამიანად ჩამოყალიბება 1982 წლიდან დაიწყო. ის გახლავთ ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც საქართველოში კივის კულტურა დააფუძნა.

–1982 წელს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, შეიქმნა ექსპერიმენტული პირველი კერძო საწარმო, რომლის პიონერები საქართველოში ჩვენ გახლდით, იგი საზოგადოებრივი კვებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოყვანას, გადამუშავებასა და რეალიზაციას ითვალისწინებდა (შემდეგ მსგავსი გაიხსნა მუხრანსა და თელეთში).

მოგელ სოსელია

–პირველი ნაბიჯები მართლაც ძნელი იყო. ყველას თითქოს მიუღწევლად მიაჩნდა ჩემს მიერ დაწყებული საქმე. ამ საქმიანობაში ჩემთან ერთად ჩემი ოჯახი და ახლობელი ადამიანები ჩაერთნენ. შუა ხორგის ტერიტორიაზე 50 ჰექტარი გაუვალი ტყე-ბუჩქნარი და ჭაობიანი ადგილი გამოგვეყო. ადამიანმა თუ მოინდომა, რას არ შეძლებს. ტექნიკისა და ჩვენი ძალისხმევით ეს შევძელით. დამატებით კიდევ გამოგვეყო 12 ჰექტარი მიწა. არც მისი გაკეთილშობილება და სფერული კვლების გაყვანა ადვილი ნამდვილად არ იყო. ის მარცვლეული კულტურებისთვის იყო გათვლილი. გავაკეთეთ მეცხოველეობისა და მეღორეობის ფერმები, თევზის აუზები. გვყავდა 50 მეწველი ძროხა, 25 კამეჩი, 100 ღორი, 1 000 ფრთა ქათამი, ინდაური, 50 ოჯახი ფუტკარი, 50 სულის ღიმილი“, ჯარგვალი, ფაცხები, კაფე–ბარი და რესტორანის მიმდებარე მთელი ფართობები, სადაც 150 ადამიანი დავასაქმეთ. მთავარი და პრიორიტეტული იყო ის, რომ ამ ჩვენს მადლიან მიწაზე ჩვენი ქვეყნისთვის უცხო ხილი–კივი გაგვეშენებინა. ამ კულტურის შესწავლის მიზნით რამდენიმე ადამიანთან ერთად ვიმყოფებოდი იტალიაში. კივის პარალელურად ჩამოვიტანეთ უბუსუსო ატამი (ვაშლ-ატამა), რომელიც მაშინ მცხეთაში დაირგო). შევისწავლეთ კივის ნერგების გამოყვანა, მისი დაკალმება და თესლით ნერგების აღმოცენება. თვალს ახარებდა კივის პლანტაციები, მისი მორწყვის სისტემა და ყველაფერი, რაც მას უკავშირდებოდა. ასე, რომ კივმა გაამართლა, მაქვს ყველაზე საუცხოო კივისა და სხვადასხვა ჯიშის ხილის ნერგები, ვახდენდი და ვახდენ მათ რეალიზაციას.


კივის მსხმოიარე პლანტაცია

თავს არ ვიქებ, მაგრამ ვიტყვი ახალგაზრდა ფერმერმა, ცეკავშირისა და იტალიელთა ნდობა გავამართლე. როგორც იტყვიან, დუღდა ჩვენი კოოპერატივი, მაგრამ... ყველას გვახსოვს სამოქალაქო ომი, ორად გაყოფილი საზოგადოება, სისხლის ღვრა, ყაჩაღობები, ძარცვა, ტერიტორიების დაკარგვა. ქვეყანა იშლებოდა... დრო ისე შეიცვალა მრავალჯერ დაყაჩაღებულს უკვე აქ არ მედგომებოდა. გაძარცვული ჩემი საწარმო გულს მტკენდა, ნალოლიავები კოოპერატივი დევნილებს დაეთმოთ. ყველაფერი განიავდა, გაიძრცვა...

დაეუნოგილი ნერგები

რაშია წარმატების საიდუმლო?

–დრო გავიდა... ცხოვრება შეიცვალა, თითქმის ყველაფერი კალაპოტში ჩადგა, თბილისიდან ჩამოსულმა, ჩემი „მამულის“ აღორძინება დავიწყე. ბანკის კრედიტი ავიღე, ვცდილობ ბიზნესი და ფერმული საქმიანობა ერთმანეთს კარგად შევახამო, რაშიც ჩემი შვილები, მეუღლე **გულიკო გვაზავა** (ეკონომისტი) და ჩემს გვერდით მდგომი ადამიანები: **ვალერი ჯანჯულია, ფრიდონი ბერიშვილი, ალიკა ტურავა** და მექანიზაციის უფროსი **მიშიკო გაბრავა, მაია წივწივაძე, გული ზარანდია, ფირუზ ბერიშვილი, ეთერ გვასალია, საბა გვალია** მეხმარებიან. მამა გვერდში დგომამ საფუძველი მომცა კვლავ ავაღორძინო წლების წინათ დაწყებული ჩემი საქმიანობა. კივი კვლავ იბოგინებს ჩემს ტერიტორიაზე. მითქვამს და ვამბობ, როცა მონდომებაა, როცა ცოტას გაიჭირვებ, მიზნის მიღწევის გზებს მოიძიებ, როცა საქმეს უპირველესად მოფიქრებულად დაგეგმავ და განახორციელებ, როცა შენს გვერდით სანდო და შრომისმოყვარე ადამიანები არიან, წარმატება გარანტირებულია. ასევე მთავარია, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ამ საქმეში ხელშეწყობის ერთ-ერთი გარანტია ბანკის სესხებია, ეს დიდი საშუალებაა...

თვალით ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა...

როცა ვუსმენდი მოგელ სოსელიას და ვათვალიერებდი მის „საუფლოს“ მართლაც ენით გამოუთქმელ სიამოვნებას განვიცდიდი. თვალს ახარებს კივის მოვლილი პლანტაციები. მსხლის, ატმის, ინდური ხურმის, კარალიოკის ულამაზესი, საუცხოო ნარგავები. თევზის ახალი აუზი... იქ იმდენ უცხო რამეს ნახავთ, გაოცდებით. კივის ნერგების მორწყვაც ახალი ტექნოლოგიებით ხდება.

ბატონო მოგელ, რაც ვნახეთ დღეს, რეალობაა. რა იქნება ხვალ?

–ხვალინდელი დღე მართლაც პერსპექტიულია, ამის უტყარი მაგალითი კივის სანერგეებია, მექნება პაპაიას ნერგები, დაკალმებული მაქვს კივის, კამელიას, ვერცხლისფერი ნაძვის, ზეთისხილის, ბროწეულის ახალი და უცხო ჯიშები. საჩითილე ყუთებში ჩათესილი მაქვს კიტრის მსგავსი ერთწლიანი ბროწეული.

რა აზრის ხართ სოფლის მეურნეობის აღორძინებაზე და ხობის აგრარულ რაიონად გადაქცევაზე?

–სოფლის მეურნეობა, აგრობიზნესის უმნიშვნელოვანესი დარგია. ხობის აგრარულ რაიონად გადაქცევა ეს მისასალმებელია. მჯერა, ჰიბრიდული სიმინდის მოვლა-მოყვანას ბევრი გამოეხმაურება. ეს საშვილიშვილო საქმეა. ჩემსავით აღნიშნული სიმინდით ბევრი ფერმერი დაინტერესდება. ამ საქმეში ბედი მე შარშან ვცადე, ძალზე პატარა ნაკვეთზე ჩავატარე ექსპერიმენტი. შარშანდელ უამინდობას ათასჯერ მეტად გაუძლო ამ სიმინდმა, ვიდრე ჩვენებურმა. ასე, რომ... „ცდა ბედის მონახევრეაო“, უთქვამთ. მიწის ნაკვეთი 20 ჰექტარზე უკვე მზად მაქვს. ჰიბრიდული სიმინდის თესლიც მოვიმარაგე. ხვალინდელი დღის დიდი იმედი მაქვს. აგრარული სექტორის გაძლიერებისაკენ მიმართული საქართველოს მთავრობის ძალისხმევა უკვე აქტუალურ ფაზაში შედის. ხობში ახალდაფუძნებულ „ფერმერთა მომსახურების ცენტრში“ ფერმერებთან შეხვედრისას მოვისმინეთ, რომ ჩვენ ტექნიკის მხრივ, ზემდგომის მხარდაჭერა და დახმარება გვექნება. თუ ეს გამართლდა, მაშინ ჰიბრიდულ სიმინდს 30 ჰექტარზე დავთესავ. მთავარია, მქონდეს დასათესი და მოსავლის ასაღები ტექნიკის თხოვების იმედი.

–მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი საქმიანობის ხელახალი აღორძინებისას ხობის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების, განსაკუთრებით მუნიციპალიტეტის გამგებლის ბატონ იგორ ტყებუჩავას დიდი მხარდაჭერა და ყურადღება მქონდა.

X X X

წარმატება უშრომელად არ მოდის. გარჯას, დაუღალავ შრომას მოაქვს მიღწევები და დოვლათი, რაც ეკონომიკის გაძლიერების საფუძველია. ეს საქმიანობა 30 წელზე მეტია გაითავისა მოგელ სოსელიამ, ამ მეურნე კაცმა, როცა მის ნაჯაფარ ხელებს დახედავთ, გაიფიქრებთ, მართლაც ყოჩაღი კაციაო. აკი თავადაც ხუმრობს: ჩემს ხელებს საიდან ეტყობა, რომ ორი ინსტიტუტი მაქვს დამთავრებულიო.

შრომა სათაკილო კი არა კეთილშობილური მისიაა, მისია, რომელსაც მოგელ სოსელია მართლაც საუცხოოდ უთავსებს თავის სხვა საქმიანობას.

...ვტოვებთ მოგელის „სამფლობელოს“ და მე და ჩემს კოლეგებს უკმარისობის გრძნობა გვეუფლება. აქ ნანახით განცვიფრებულებს კვლავ დაბრუნების სურვილი გაგვიჩნდა...

ნახვამდის, მოგელ, შემოდგომამდე!

ნანი კილასონია

1982 წელი, ასე იკაფებოდა გაუვალი ადგილები

9 მაისი–ფაშიზმის დამარცხების დღე

9 მაისი—ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების დღე

9 მაისს საქართველოში ფაშიზმზე გამარჯვების დღე აღინიშნება. ფაშიზმზე გამარჯვებიდან 66 წელი გავიდა, მეორე მსოფლიო ომში 300 000 ქართველი დაიღუპა, ამ თარიღს ვეტერანები ტრადიციისამებრ გამარჯვების პარკებსა თუ მუზეუმებში აღნიშნავენ. უცნობი ჯარისკაცის საფლავს ყვავილებით ამკობენ და კიდევ ერთხელ იხსენებენ ომში დაღუპულებს.

9 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებები დილიდან დაიწყო ხობის მუნიციპალიტეტში. მუნიციპალიტეტის გამგებელი იგორ ტყებუჩავა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს, 97 წლის პარმენ გეგეჭკორს სახლში მეუღლესთან ელისო მისაბიშვილთან, ყულევის ტერმინალის წარმომადგენელთან, ბატონ რობერტ გვიჩიასთან, დევნილთა დ იძულებით გადაადგილებულ პირთა განყოფილების უფროს შორენა ძაძამიასთან ერთად ესტუმრა და ფაშიზმზე გამარჯვების დღე მიულოცა. ვეტერანმა მოიგონა მეორე მსოფლიო ომის საშინელი წლები და გამოთქვა წუხილი, რომ სიბერის ჟამს მას და მის ოჯახს დევნილობა ერგოთ, რომ სამწუხაროდ მშვიდობისათვის ისევ უწევს ბრძოლა ახალ თაობას. მისი ოჯახის საპატიო სტუმრების ყურადღებასთან დაკავშირებით „ჩემთვის თქვენი სტუმრობა ძალიან დიდი საჩუქარია“–ემოციას ვერ მალავდა ბატონი პარმენი. „თქვენ მაგალითი ბრძანდებით მომავალი თაობებისათვის, რომ ყოველგვარ ომსა და ძალადობას უთხრან უარი და ჩვენთვის, რომ თქვენს მაგალითზე ვასწავლოთ მათ სიცოცხლისა და მშვიდობის ფასი“ – მიმართა ვეტერანს ბატონმა იგორ ტყებუჩავამ. სტუმრებმა ვეტერანს ფასიანი საჩუქრები და სამახსოვრო წიგნები გადასცეს, უსურვეს მას დიდხანს სიცოცხლე და ენგურს მიღმა დარჩენილ მშობლიურ კერაში დაბრუნება.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ხეთის საბრძოლო დიდებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გადაინაცვლეს. სტუმრებმა ყვავილებით შეამკეს მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ჯარისკაცის საფლავი, დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი ხეთის მთავარანგელოზების ტაძრის წინამძღვარმა მამა ცოტნემ აღავლინა, რის შემდეგაც მუზეუმის ეზოში ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ორგანიზებით ჩატარებული საზეიმო შეხვედრა გაიმართა. მუზეუმის ეზოში ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ მიტინგზე მუნიციპალიტეტის გამგებელმა იგორ ტყებუჩავამ სიტყვით მიმართა სტუმრებს და გაიხსენა ომის პერიოდი, აღნიშნა, რომ ფრონტზე მისი ოჯახიდან მამასთან ერთად ოთხი ძმა იბრძოდა, რომელთაგან ორის სიცოცხლე ფრონტზე დასრულდა, ხოლო შინ დაბრუნებულებიდან სამწუხაროდ დღეს არც ერთი არ არის ცოცხალი. ბატონმა იგორმა საზოგადოებას ერთ–ერთი ძმის მიერ ფრონტიდან გამოგზავნილი სამკუთხა ბარათი გააცნო. სადაც ის იწერება, რომ ის იმყოფება ფრონტიდან 15 კმ–ის დაშორებით და ამხნევებს ოჯახს, რომ ის არის ვაჟკაცურად, იმედით და შემართებით.

ომის ვეტერანებს გამარჯვების დღე მიულოცა **ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ბატონმა მამუკა ჭოხონელიძემ**.

გამომსვლელებს შორის იყვნენ შავი ზღვის ტერმინალის წარმომადგენლები და საზოგადოების სხვა წევრები. მათ კიდევ ერთხელ გაიხსენეს 9 მაისი და მიულოცეს ვეტერანებს.

ჯულიეტა ქვარაია–კულტურის სამსახურის უფროსი–დღევანდელი დღე უმნიშვნელოვანესია ყველა თაობის წარმომადგენელთათვის, რამდენადაც ეს არის ზოგადად ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვების დღე. ტრადიციულად ჩვენი ომის ვეტერანები შინმოუსვლელის მუზეუმში ხვდებიან ამ დღეს და ჩვენც ვუერთდებით მათ ზეიმს.

შორენა ძაძამია–დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა განყოფილების უფროსი–ხობის მუნიციპალიტეტში 39 დიდი სამამულო ომის ვეტერანია, ჩვენ ვუერთდებით მილოცვას და თითოეულ მათგანს ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და დიდიხანს სიცოცხლეს.

მუნიციპალიტეტის გამგეობის ინიციატივით ხობის ტერიტორიაზე მცხოვრებ 39 ომის ვეტერანს, თითოეულ მათგანს 100 ლარი გადაეცათ, ასევე შ.პ.ს „შავი ზღვის ტერმინალის“ წარმომადგენელმა რობერტ გვიჩიამ თითოეულ მათგანს გადასცა ფულადი ჯილდო 50 ლარის ოდენობით.

9 მაისის დღე რესტორანში ვეტერანებისათვის გამართული ვახშამით დასრულდა.

თამთა ბუკია

გილოცავთ, ვეტერანებო!

ისტორიას ათასგვარი ქარტეხილი ახსოვს–ომი, ნგრევა, ბევრი რამ მეხსიერებიდან გაქრა, მაგრამ გერმანიის ფაშიზმის ვერაგობას, ვისაც მისი მსახვრალი ხელი შეხებია, ვერასოდეს დაივიწყებს, ვისაც ომის საშინელება უნახავს და განუცდია, მეხსიერებიდან ვერასოდეს ამოშლის იმ საშინელებას და ვერც ნაომარი, ვაჟკაცების მამაცობას. მეორე მსოფლიო ომი კაცობრიობის მეხსიერებაში ყოველთვის მტკივნეული ნაკვალევი იქნება, ხოლო 9 მაისი დაუვიწყარი, სულის შემძვრელი, ემოციური და უძლიერესად საამო განცდა, ის ხომ თითოეული მებრძოლის გამარჯვებაა. ყოველი გამარჯვების დღე სიმბოლურია, განვლილი მოგონებებია.

ბედნიერ 9 მაისს მრავალჯერ შემახვედრა განგებამ. უკან დარჩა განვლილ დღეთა მწარე მოგონებები... ბედნიერი ვარ, რომ გამარჯვების 66-ე წლისთავს შევხვდი. მართალია, ფრონტზე ასიათასობით ადამიანი დაიღუპა, მათ შორის ბევრი ჩემი თანარაიონელი, თანასოფლელი და მეგობარი, ბევრი დედა შეიმოსა ძაძით, მაგრამ ცხოვრება მათ ოჯახებშიც ღვთის წყალობით გრძელდება.

დრო გადის. სამწუხაროა, რომ ომგადახდილები დღითიდღე გვაკლდებიან, რაც ძალზე ტკივილიანია, მაგრამ სანამ ერთი ჯარისკაცი ცოცხალია, ომგადახდილს დავიწყება არ უწერია არც ახლა და არც მომავალში, მათ ხსოვნას თაობები შემოინახავენ, მათ წმინდა სახელებს პატივით მოიგონებენ, ხოლო ისინი, ვინც ფრონტზე დაიღუპნენ, მუდამ „ღიმილის ბიჭებად“ და შინ არდაბრუნებულ არწივებად დარჩებიან თაობათა ხსოვნაში.

ვეტერანებს ჩვენი ხელისუფალნი ყოველთვის პატივს მიაგებენ.

გამარჯვების დღეს ვულოცავთ ყველა ომის მონაწილეს, მათ ოჯახებს, შთამომავლებს, საქართველოს თითოეულ მცხოვრებს. ყველა იმ ქვეყნების მეომართ, ვინც ჩვენსავით იბრძოლა უკეთესი მერმისისთვის.

დიახ, 9 მაისის დიადმა გამარჯვებამ ბევრ სიკეთეს ჩაუყარა

საფუძველი–ჩვენს მიერ გაკვალულ გზაზე ბევრმა თაობამ გაიარა და გაივლის აწ და მარადის!

დაე, დიდხანს ყოფილიყოს თითოეული ვეტერანისთვის გამარჯვების მაისი.

გილოცავთ, ვეტერანებო!

ალიოშა ცხადაია,
ხობის მუნიციპალიტეტის ომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე.

ომგადახდილის 66-ე გაზაფხული

სამამულო ომის პირველმა ზაფხულმა სამგლოვიარო ზარით ამცნო ქვეყანას თავისი მობრძანება. ცა შავი ღრუბლებით აიბურა და ჭექა-ქუხილით შეძრა სამყარო. ირგვლივ ყოველივე ზამთრის ყინვებით გაითოშა, თუმცა ყველგან ზაფხულის თბილი სუნთქვა იგრძნობოდა. შფოთიანი დრო დაუდგა ქვეყანას, ამიტომ ბუნებამაც თითქოს ხაკისფერი მუნდირი ჩაიცვა და საომრად მოემზადა...

დღეს მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან 66 წელი შესრულდა...

ჩვენი ნომრის სტუმარია მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, აფხაზეთიდან დევნილი, ამჟამად ხობში, სპორტულ კომპლექსში მცხოვრები, დამსახურებული პიროვნება ბატონი ***პარმენ გეგეჭკორი.***

ომგადახდილი დღეს ახალი ცხოვრებით ცხოვრობს, თუმცა დღემდე გულის ტკივილად შემორჩა თანამებრძოლების დაკარგვა, უფრო ძლიერ კი დაკარგული ტერიტორიები, დაფანტული ნათესაობა და აფხაზეთის უდიდესი მონატრება.

ბატონო პარმენ, გვიამბეთ ცოტა რამ თქვენზე, თქვენს ოჯახზე, შვილებზე...

–დავიბადე 1914 წელს გალის რაიონის სოფელ გუდავაში მოსამსახურის ოჯახში. ვიზრდებოდი მყუდრო და ბედნიერ გარემოში სამ დასთან ერთად. იქვე მივიღე საშუალო განათლება. ვმუშაობდი რაიონში სხვადასხვა თანამდებობებზე–გუდავას სკოლაში გამგე–მასწავლებლად, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ... 1947 წელს ცხოვრება ხობელ ტატიანა სანაიას დავუკავშირე. ვცხოვრობდით სიყვარულით, მშვიდად და ბედნიერად. ვზრდიდით სამ შვილს–ლორას, როლანდს და ავთოს, შემდეგ აფხაზეთის ომი დაიწყო და ამ ომმა ჩვენს ბედნიერ ოჯახს ტკივილი მოუტანა. იძულებულები გავხდით კარ-მიდამო დაგვეტოვებინა და ხობში, მეუღლის ნათესავებთან წამოვედით, ტკივილმა ტკივილი მისაგზლა... 47 წლის ასაკში ჩემი ვაჟი როლანდი გარდაიცვალა. ჩემმა მეუღლემ ვერ გაუძლო შვილის დაღუპვით გამოწვეულ ტკივილს და ორ თვეში ისიც დავკარგე. უბედურებას უბედურება დაემატა და 35 წლის ასაკში დაუოჯახებელი მეორე ვაჟი ავთოც გულის შეტევით უეცრად გარდაიცვალა.

მყავს რძალი ლეილა ჩანგელია,–თსუ ყოფილი ლექტორი, სამი შვილიშვილი–გიორგი გეგეჭკორი თბილისის–მცხეთა–თიანეთის საპატრულო პოლიციის უფროსი და მისი მეუღლე ნინო ხარჩილავა. ნანა გეგეჭკორი სამედიცინო უნივერსიტეტის დოქტორანტია და ამჟამად აშშ–ში მოღვაწეობს. ხოლო დავით აკობია ხობის №2 საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლეა. ბადიში ნიკოლოზ გეგეჭკორი ჯერ მხოლოდ 2 წლისაა.

ვცხოვრობ ჩემს ქალიშვილთან ლორასთან და სიძე რადიონ აკობიასთან ერთად. სხვაგან სად უნდა წავიდე, როცა ჩემთვის ძვირფასი ადამიანები აქაურ მიწას მყავს მიბარებული, მათ საფლავებს ვერ ვტოვებ.

თუ შეიძლება გაიხსენეთ როდის გაგიწვიეს სამამულო ომში? იქნებ რომელიმე საბრძოლო ეპიზოდზეც მოგვითხროთ.

–1941 წელს გამიწვიეს დიდ სამამულო ომში. გმირულად ვიბრძოდი წინა ხაზზე ტუაპსესა და მაიკოპში მე–18 არმიაში. მაგრამ ომის ქარცეცხლში ორჯერ დავიჭერი და როგორც უნარ-მოკლებული სამხედრო, საექიმო კომისიის დასკვნით, მშობლიურ სოფელში დავბრუნდი.

ომის პერიოდში თუ გქონიათ კავშირი ოჯახთან, აგზავნიდით სამკუთხა ბარათებს?

–დიახ, ამის საშუალება მქონდა და ოჯახიდანაც ვღებულობდი საპასუხო ბარათებს. ეს იყო ერთადერთი საშუალება, რომელიც მიადვილებდა ოჯახზე ფიქრს, მონატრებას...

ბატონო პარმენ, რას ნიშნავს თქვენთვის 9 მაისი?

–ყოველი 9 მაისი ჩემთვის ძნელად მოსაგონარი თარიღია.

მე ამაყი ვარ იმით, რომ ამ ომში ჩემი ქვეყნის დასაცავად ვიბრძოდი. ვცდილობდი მთელი ჩემი ცხოვრება მეცხოვრა კეთილსინდისიერად, მგონი გამომივიდა კიდეც.

რასაკვირველია აფხაზეთზე ნოსტალგია გაწუხებთ, რას ელით ხვალ?

–აფხაზეთის დაკარგვა ჩემთვის ადვილი არ ყოფილა. ვიტყვი, ტრაგიკულიც კი აღმოჩნდა. ძნელია ოჯახის მიტოვება, დაფანტული ნათესაობა... აფხაზეთი ჩემი ტკივილია, მაგრამ მე მჯერა ჩემი პრეზიდენტის, ქართველი ხალხის, რომ აუცილებლად დავიბრუნებთ ტერიტორიებს და ჩვენ დავბრუნდებით!..

ხელისუფლება რამდენად გეხმარებათ?

–ჩვენი მთავრობის, ხობის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების უდაოდ კმაყოფილი ვარ. მათგან დაფასებას და ყურადღებას ყოველთვის ვგრძნობ. წლევანდელ 9 მაისსაც დამაფასეს და შინ მესტუმრნენ, მომილოცეს ფაშიზმზე გამარჯვების 66 გაზაფხული. ფულადი ჯილდო, წიგნები, ქართული ღვინო, ტკბილეული და სხვა მრავალი საჩუქარი გადმომცეს. გამგებლის მეუღლემ ქალბატონმა ელისო მისაბიშვილმა კი ხატი მისახსოვრა, რამაც ძალიან გამახარა. ყველა მათგანს უდიდეს მადლობას ვუხდი და წარმატებულ ცხოვრებას ვუსურვებ.

რას უსურვებდით ომგადახდილებს?

–თითოეულს ბედნიერებას, ჯანის სიმრთელეს და მშვიდობას ვუსურვებ.

...სავსე მზე შუბისტარზე იდგა. თვალი მივაპყარი დასავლეთს. საუცხოო მნათობი მეწამული მზე ანათებდა. ამ მზეს არ ეჩქარებოდა ჩასვლა. მას სურდა რომ ქვეყნისთვის მიელოცა ბრწყინვალე გამარჯვება და თავადაც ამიტომ ბრწყინავდა ასე განსაკუთრებულად 9 მაისის დღეს...

მე კი ისღა დამრჩენია, ყველაფერი საუკეთესო გისურვოთ, ჯანის სიმრთელე და სიხარული არ მოგაკლოთ უფალმა, ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ ბატონო პარმენ!

ესაუბრა
ნანა კემულარია.

ხობი, აგრარული რაიონი

ვიდა მეურნეობის გასაძლიერებლად

საქართველოს UsaiD-ის პროგრამის ფარგლებში სამუშაო ვიზიტით ეწვია ამერიკელ მეწარმეთა ჯგუფი. რომელთა საქმიანობა ძირითადად საქართველოს სახელმწიფო სააგენტოებში, ასევე კერძო სექტორის ინსტიტუციური და ინტელექტუალური სიმძლავრის განვითარებას ემსახურება და მიმართულია ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისა და კაპიტალზე ხელმისაწვდომობის გაფართოებისათვის. პროგრამის კოორდინატორებმა, ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ თხილის კულტურით დაინტერესებულ ადგილობრივ მწარმოებლებს, საოჯახო მეურნეობების მფლობელებს გააცნეს ამერიკელი ფერმერების გამოცდილებები და მოსავლიანობის გასადიდებლად საჭირო უნარ-ჩვევები...

შეხვედრას ესწრებოდა მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი იგორ ტყებუჩავა, რომელიც სტუმრებს ესაუბრა იმ პრიორიტეტებზე, რომლებმაც უნდა გააძლიერონ ქართული სოფელი, სოფლის მეურნეობის დარგები. ამ მიმართულებით გამოითქვა სურვილი, პროგრამის ფარგლებში გაძლიერდეს ქართული ჯიშების წარმადობაზე საჭირო რეკომენდაციები, ფინანსური და ტექნიკური ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის წარმადობისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გასაფართოებლად.

პროგრამის კოორდინატორმა რიჩარდ ჯინგერიჩმა აქცენტი გააკეთა ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილებაზე, ისაუბრა იმაზე, რომ 35- 40 წლის წინ ამერიკელი ფერმერებიც გარკვეულ პროცესებს სოფლის მეურნეობაში ნულიდან იწყებდნენ და გამოცდილებებზე, ასევე ნოვატორულ იდეებზე იგეგმებოდნენ. მან ყურადღება გაამახვილა ორიგონის შტატში განვითარებულ თხილის კულტურაზე, რომელიც სტაბილური შემოსავლის წყაროა ადგილობრივი მწარმოებლისათვის. ასევე დაწვრილებით აღწერა ის საკულტივაციო პროცესები, რაც ამ კულტურის მოსაყვანად სჭირდება ნიადაგს. განსაკუთრებით გამოყო ორი ჯიში ბარხელონა და ჯეფერსონი, რომლის ვარჯის გამძლეობა–კარგი მოვლის პირობებში დაახლოებით 90 წელია.

განიხილა ნიადაგის ტიპები, რწყვისა და დამტვერვის სპეციფიკა, ხეხილის ბაღის ბალახის საფარის შექმნისა და სასუქებით განოყიერების, ასევე სარწყავი სისტემისა და სისტემური სხვლის, ფოთლებისა და ნაყოფით ნიადაგის მულჩირების პროცესები. აქცენტი გააკეთა ახალგაზრდა ხეების ოპტიმალურ წვეთოვან მორწყვაზე, რომელსაც ამერიკელი ფერმერი აწარმოებს საკუთარ ბაღებში და ახე მიიღებს იმ შემოსავალს, რომელიც ხობელი ფერმერების ერთ-ერთი ძირითადი შეკითხვა გახლდათ.

შეხვედრის შემდეგ საკითხი განიხილა მუნიციპალიტეტის გამგებელმა, რომელმაც განაცხადა: დღეს მუნიციპალიტეტისათვის მთავარია თავისუფალი მიწების ათვისება, ანუ პრივატიზება 4000 ჰექტარი მიწის ფართობისა. აქედან გამომდინარე,–თუ მიწას კერძო მესაკუთრე გამოუჩნდა, იქნება ეს ადგილობრივი მწარმოებლის, თუ უცხოელი ინვესტორის სახით. მისასალმებელი ფაქტია, რომ მთელი ჩვენი მაქსიმალური მცდელობა ამ მიმართულებებში ჩაიდება და ხელი შეეწყობა ისე, როგორც მცირე მწარმოებლების მასშტაბების, ასევე საპრივატიზებო მიწების რეალიზებისა და ქვეყნის შიდა პროდუქტის ზრდას. დღეისათვის მეხილეობის, მემარცვლეობისა და მებოსტნეობის მიმართულებით შექმნილი პროდუქციის ძირითადი ნაწილი (90 პროცენტზე მეტი), მცირე ზომის შინამეურნეობებშია კონცენტრირებული. შინამეურნეობების ზომა საშუალოდ 1.22 ჰა-ია, რომელიც, როგორც წესი, წარმოდგენილია საშუალოდ, 0.45 ჰა ფართობის მქონე 2-3 მიწის ნაკვეთით. შინამეურნეობების დაახლოებით 82 პროცენტი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას საკუთარი მოხმარებისთვის მისდევს, ხოლო დანარჩენი 18 პროცენტისთვის სოფლის მეურნეობა შემოსავლის წყაროს წარმოადგენს, რაც შეეხება დღევანდელი ჩვენი შეხვედრის თემას–მეთხილეობას, თხილის მოყვანისთვის საჭირო უნარ-ჩვევები მეტნაკლებად განვითარებულია. თუმცა, რაც საქართველოს არ აქვს, ეს არის თხილის მოყვანისა და გადამუშავების ბოლო ტექნოლოგიებისა და სტანდარტების ცოდნა. ამასთან დღეისათვის თხილის მაღალი ფასი ფიქსირდება, რაც გლეხისთვის დამატებითი სტიმულია.

რაც შეეხება ხობის მუნიციპალიტეტს დღეისათვის „ფერერო“ და „აგრო ჯორჯია“ ხობის რაიონში ფლობს-950 ჰექტარ მიწის ფართობს, რომელიც ძირითადად ზედა ზონის სოფლებშია. მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებზე კი თხილი გაშენებულია 350 ჰექტარამდე, ასევე კერძო მფლობელობაშია თორსის, ბიისა და ზემო ქვალონის ტერიტორიაზე გაშენებული თხილის პლანტაცია.

მიმაჩნია, რომ კერძო სექტორთან კოორდინირებით უნდა გადაიდგას შემდეგი კონკრეტული ნაბიჯები: **ფერმერული მეურნეობის განვითარება და ხელშეწყობა, რომლის პირველი ნაბიჯი** აგრარული ზონების მიხედვით ფერმერთა საქმიანობის კლასიფიკაცია და მონიტორინგია. ამიტომაც ჩვენი მხრიდან მისასალმებელი იქნება რეკომენდაციები, ქართული თხილის მოსავლის რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით. ასევე კარგი ინიციატივაა, რომ აპირებენ თხილის პლანტაციების შესწავლას. **დღეს ქართველ მეწარმეს, რეკომენდაციებთან ერთად ფინანსური ხელშეწყობა სჭირდება. იქნება ეს სხვადასხვა პროგრამებით გათვალისწინებული, თუ სახელწიფო სუბსიდიებით განხორციელებული. იმედია, პროგრამის შემდგომ ეტაპზე ამას გაითვალისწინებენ, რადგან თითოეული აქ დამსწრე ფერმერის აზრი, ზუსტად ამ მიმართულებების მეტ მხარდაჭერას მოითხოვს. ამიტომაც** სახელმწიფო და კერძო სექტორმა უნდა შეიმუშაონ სასურსათო უზრუნველყოფისათვის შინამეურნეობების კეთილდღეობის ფორმულა, რაც პირველ რიგში ჩატარებულ კვლევებს უნდა დაეყრდნოს და ასევე დამატებით იქნეს შესწავლილი არსებული პოტენციალი და ფინანსური ინსტიტუტები, საბანკო სექტორი, სადაზღვევო სექტორი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გახდეს შიდა მეურნეობით დაკავებული ხალხისათვის მეტად ხელმისაწვდომი, **ამიტომაც უცხოური ორგანიზაციების შემოსვლა, ქართველი გლეხის, მწარმოებლის–ევროპელ ფერმერად ჩამოყალიბებას უნდა უწყობდეს ხელს, ისე როგორც რეკომენდაციებით, ასევე ფინანსური თვალსაზრისით. ამ რაკურსით ვაფასებთ დღევანდელ დღეს და უნდა ავღნიშნო, რომ გამოცდილების გაზიარება, ნამდვილად საჭირო საქმეა, თუმცა დღეს ქართული თხილის პროდუქციის გაზრდისათვის საჭიროა, უშუალოდ საქართველოს კლიმატთან შემგუებელი, მაღალპროდუქტიულ ჯიშებზე გაკეთდეს აქცენტი, ან ჩვენი უძველესი ჯიშების აღორძინებაზე, როგორიცაა: ანაკლიური, შველისყურა, ბერძნულა, გულშიშველა, ხაჭაპურა, ნემსა და სხვა. იოლი არ არის მცირე მეწარმის ხვედრი, განაცხადა საუბრისას მუნიციპალიტეტის გამგებელმა, მას მრავალი საზრუნავი აქვს, ბევრი პრობლემის გადაწყვეტა უწევს. სანამ ადამიანი საკუთარ საქმეს შეუდგებოდეს, მან ყველაფერი კარგად უნდა აწონდაწონოს. თუ დარწმუნდა რომ შეესაბამება აუცილებელ მოთხოვნებს და მზად არის იმუშაოს ისე, როგორც არასდროს, მისმა მოწადინებამ შეიძლება წარმატება მოიტანოს და მაშინ მეწარმე დაჯილდოვდება იმის შეგნებით, რომ სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისათვის, ჰქმნის რა მომხმარებლისათვის საჭირო საქონელსა და მომსახურებას, ხელსაყრელი სამუშაოთი უზრუნველყოფს ადამიანებს, სანაცვლოდ წმინდა მოგებას ღებულობს. ბატონ რიჩარდთან ერთობლივი საუბრისას გამოიკვეთა ის აუცილებლობა, რაც ქართული ფართობების შესწავლის შედეგად რეკომენდაციის სახით უნდა მიეცეთ ადგილობრივ მწარმოებლებს. რადგან, რამდენადაც ცნობილია, მსოფლიო ბანკის საქართველოს კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს შეუძლია, მეზობელ თურქეთს ბევრ რამეში გაუწიოს კონკურენცია–იქნება ეს შრომის ანაზღაურება, მიწის ღირებულება, შედარებით მოქნილი ტარიფები იმპორტზე თუ კლიმატი. მთავარია, როგორ ამოქმედდება ამ კულტურის ხელშეწყობის მექანიზმი. ამიტომაც საქართველოსა და რეგიონის ხელისუფლების, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთელი ძალისხმევა დღეს მიმართულია შიდა მეურნეობის გაძლიერებისაკენ და მას თითოეულმა ჩვენგანმა უნდა შეუწყოს ხელი.**

მანანა შულაია

მორიგი თათბირი ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულებთან

2011 წლის 2 მაისს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულებთან მორიგი თათბირი გამართა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა იგორ ტყებუჩავამ, თათბირზე მოსმენილიქნა ინფორმაცია საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისა და მიმდინარე საკითხების შესახებ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ ხობის ახლადგახსნილი შერეულპროფილიანი კლინიკა დაათვალიერა

4 მაისს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე მიხეილ დოლიძემ ხობის ახლადგახსნილი შერეულპროფილიანი კლინიკა დაათვალიერა. კლინიკა „პირველ ქართულ ჰოსპიტალურ ქსელს“ ეკუთვნის და მის მართვას კომპანია „ქართული ჰოსპიტალი“ ახორციელებს. ახლადშექმნილი ჰოსპიტალური ქსელის ადმინისტრაცია მინისტრის მოადგილესთან, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელთან იგორ ტყებუჩავასთან და ხობის საავადმყოფოს დირექტორთან ფიქრია დვალაძესთან ერთად გაეცნო მედპერსონალის მუშაობის პროცესს და საავადმყოფოს ფუნქციონირებაზეც ისაუბრეს.

ხობის კლინიკაში პაციენტების უსაფრთხოების დაცვის მიზნით ამ ეტაპზე მედპერსონალის გადამზადება მიმდინარეობს, გარკვეული პროცესების დასრულების შემდეგ საავადმყოფო სრული დატვირთვით შეუდგება ფუნქციონირებას, თანამდროვე დანადგარებით აღჭურვილ კლინიკაში პაციენტებს ყველა პირობა შეექმნებათ ჩაიტარონ გამოკვლევა.

საავადმყოფოს სტაციონალურმა განყოფილებამ პირველი პაციენტი უკვე მიიღო, მშობიარე პაციენტს ფულადი ჯილდო 500 ლარის ოდენობით და ახალშობილის მოვლის ჰიგიენური საშუალებების სრული პაკეტი სტუმრებმა პირადად გადასცეს.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის აქციის მონაწილეებმა ყურუმულიას ჯიხას შემოგარენი გაწმინდეს

საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით 1-7 მაისი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დღეებად გამოცხადდა. მუნიციპალიტეტში დაიგეგმა მთელი რიგი ღონისძიებები, მასში ჩართულია მუნიციპალიტეტის კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულებები 4 -მაისს სოფელ პირველ მაისში ადგილობრივმა ახალგაზრდებმა ეკალ-ნარისაგან გაწმინდეს მდინარე მუნჩიასა და ჩხაიას ხერთვისში მდებარე ყურუმულიას ჯიხას შემოგარენი. ყურუმულიას ჯიხა-ციხე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლია, იგი ადრე-ფეოდალური ხანისაა და ეგრისის სამეფოს საფორტეფიკაციო სისტემის შემადგენელი ნაწილია. გაწმენდით სამუშაოებს მეთვალყურეობას უწევდა მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ძეგლთა დაცვის საკითხებში გოგიტა ჩიტაია.

მგლის ლიკვიდაციის მორიგი ფაქტი

ადგილობრივი ხელისუფლებისა და გარემოს დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, შეიქმნა სპეციალური ჯგუფები, რომლებიც მგლებს გაანადგურებენ. სოფელ ძველ ხიბულაში შექმნილმა მონადირეთა ჯგუფმა მგლის ლიკვიდირება უკვე მოახერხა. როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლები ამბობენ, მგელმა ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში დიდი რაოდენობით მსხვილფეხა საქონელი დაგლიჯა და ოჯახებს დიდი ზარალი მიაყენა, მონადირეთა ჯგუფებმა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამ ბოლო დროს არაერთი ლიკვიდირებული მგლის ამოღება შესძლო.

წინ „ალგის" გამოცდილება გვქონდეს

სტუმარი

განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებზე ჩვენი დღევანდელი სტუმარია მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის უფროსი ქალბატონი ხათუნა გერგაია.

დღეს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებს არ შეიძლება გულგრილად შევხედოთ. ჩვენი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები აქტიურად არიან ჩართულები თითოეული ახალი რეფორმის ხორცშესხმაში. მუნიციპალიტეტის ყველა სკოლაში წარმატებულად ტარდება ოლიმპიადები. სკოლები დატვირთულია სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებით. დამეთანხმებით, თუ ვიტყვი იმასაც, რომ ამ წარმატებების უკან ჩვენი მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრი და მისი ხელმძღვანელი ნიჭიერი და თავისი საქმის კარგად მცოდნე, ქალბატონი ხათუნა გერგაია დგას.

ქალბატონო ხათუნა, უფრო კონკრეტულად ხომ ვერ მოგვიყვებით იმ რეფორმების შესახებ, რომელიც განათლების სისტემაში მიმდინარეობს?

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ზოგადი განათლების სისტემის სრულყოფისა და საჯარო სკოლებში სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით, მნიშვნელოვან რეფორმებს ახორციელებს. კადრების პროფესიული განვითარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით დაინერგა მრავალი სიახლე. 2010-2011 წლის სასწავლო წლის შედეგების საბოლოო შეჯამება შესაძლებელი ივნისის ბოლოს იქნება, მანამ თქვენს ყურადღებას იმ მნიშვნელოვან ცვლილებებზე და ღონისძიებებზე გავამახვილებ, რომელიც უახლოეს წარსულში განხორციელდა და მოსალოდნელია სასწავლო წლის დასრულებამდე.

2011 წლის იანვარში საჯარო სკოლების *ვაუჩერული დაფინანსების ფორმულა* შეიცვალა. ვაუჩერის ოდენობა მანამ დამოკიდებული იყო მოსწავლეთა რაოდენობაზე. ახლა განისაზღვრება მოსწავლეთა რაოდენობითა და ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მოთხოვნით. 2010 წლის ბოლოსათვის ხობის მუნიციპალიტეტის 27 საჯარო სკოლიდან 22 სკოლა იყო დეფიციტური, ანუ ეროვნული სასწავლო გეგმით

განსაზღვრული მინიმალური სტანდარტის შესასრულებლად სამინისტროდან ვაუჩერზე დანაკლისის შევსების სახით იღებდა საჭირო თანხას. ვაუჩერის ახალი ფორმულის შემდეგ მხოლოდ ორი საჯარო სკოლა ითხოვს შევსებას სამინისტროსგან. ახალ დაფინანსებასთან დაკავშირებული პრობლემების (ოპტიმიზირებული სკოლები, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სკოლები, არაქართულენოვანი სკოლები და ა.შ.) გათვალისწინებით უახლოეს მომავალში მოსალოდნელია ვაუჩერული ფორმულის დახვეწა.

ყველა იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც შეირჩა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. ჩვენს მუნიციპალიტეტში შეირჩა 15 სკოლა. სკოლის გამოსაშვები.

როგორც ცნობილია საქართველოში გამოსაშვები გამოცდები წელს პირველად ონ-ლაინ რეჟიმში კომპიუტერული სისტემით ჩატარდება, ამასთან დაკავშირებით რას გვეტყოდით?

კატის გამოცდების ჩატარების ტექნოლოგია შემუშავებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ. ყველა ის მოსწავლე, რომელიც წარმატებით გაივლის კატის გამოცდებს, ანუ გადალახავს მინიმალურ ბარიერს, იღებს სკოლის ატესტატს, რაც ანიჭებს უფლებას გააგრძელოს სწავლა უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებში. ვინც კატის გამოცდაზე არ გადის, ის მიიღებს სკოლის დამთავრების დამადასტურებელ სერთიფიკატს და ნებისმიერ დროს, თუ მოისურვეს, შეუძლია ჩააბაროს გამოცდა. თუ რომელიმე საგანში ვერ გადალახა ბარიერი, მოსწავლეს აქვს უფლება, მომავალ წელს გადააბაროს კონკრეტული საგანი, ისე, რომ სხვა გამოცდებზე მიღებული ქულები შეინარჩუნოს.

სკოლის გამოსაშვები გამოცდები ჩატარდება 23 მაისიდან 5 ივნისამდე, რვა



დღის განმავლობაში.

23 მაისი–ქართული ენა და ლიტერატურა; 24 მაისი – უცხო ენა; 25 მაისი–ისტორია; 27 მაისი–გეოგრაფია; 28 მაისი–ფიზიკა; 30 მაისი–ქიმია; 31 მაისი–ბიოლოგია; 1 ივნისი–მათემატიკა.

გამოცდებს ატარებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გამოცდების ეროვნული ცენტრი. პასუხისმგებლობა გამოსაშვები გამოცდების მიმართ საკმაოდ მაღალია, როგორც რესურსცენტრის ყველა თანამშრომლის, ასევე სკოლის დირექტორების მხრიდან.

ყველა სკოლა ჩართულია ინტერნეტში, ლოკალური ქსელი მოწყობილია ყველა სკოლაში და გამართულია, მონტაჟდება ვიდეო თვალი. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უზრუნველყოფს სკოლებს ნოუთბუქებით, ყოველ 4 ბავშვზე ერთი ნოუთბუქის ოდენობით.

2 დეკემბერს, გამოცდების ეროვნული ცენტრის ქალბატონ მაია მიმინოშვილის ხელმძღვანელობით, შეხვდა სამეგრელო–ზემო სვანეთის რესურსცენტრის თანამშრომლებსა და სკოლის დირექტორებს, მასთან ერთად განიხილა კატის დებულება და გამოცდების ორგანიზების საკითხები. უპასუხა დირექტორების მიერ დასმულ შეკითხვებს.

სკოლის დირექტორი პასუხისმგებელია სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების მიზნით საჭირო გარემოს შექმნაზე. გამოცდებს დაესწრება გამოცდების ეროვნული ცენტრის უფლებამოსილი პირი, მეთვალყურე და საჭიროების შემთხვევაში IT მენეჯერი.

16-17 მაისს ოფიციალურ ვებ გვერდზე (naec.ge) დაიდება მოსწავლეების სია, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კატის გამოცდებში და საგამოცდო ინსტრუქცია. მოსწავლეებს საშუალება ექნებათ გაეცნონ თავიანთ უფლება–მოვალეობებს.

20 მაისამდე ყველა მოსწავლეს დაურიგდება საგამოცდო მოსაწვევი.

რაც შეეხება მოსწავლეთა მზაობას გამოცდებისადმი, მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს მასშტაბით 2–დან 7 აპრილამდე მოსწავლეებს ჰქონდათ საშუალება, ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან ონლაინ რეჟიმში გაევლოთ ტესტირება. გარდა ამისა, ხობის მუნიციპალიტეტის 3 საჯარო სკოლის (ხობის №1, ხეთის, საჯიჯაოს) მოსწავლეებს ჰქონდათ საშუალება 11-დან 18 აპრილის ჩათვლით, საკუთარ სკოლებში გამოცდების პრეტესტში მიეღოთ მონაწილეობა.

2-3 მაისს 14:00 საათიდან 16:00 საათამდე მიმდინარეობს პრეტესტი მათემატიკაში. ყველა მე–12 კლასელს ეძლევა საშუალება მონაწილეობა მიიღოს მასში.

18, 19, 20 და 21 მაისს მთელი საქართველოს მასშტაბით ყველა კურსდამთავრებულთათვის ჩატარდება გამოსაშვები გამოცდების გენერალური რეპეტიცია, მოსწავლეებს კიდევ ერთხელ ექნებათ შესაძლებლობა, ტესტირების საკითხებს და ტექნოლოგიებს გაეცნონ.

როგორია თვით საგამოცდო პროცესი?

ყოველდღიურად იქნება 2 სესია, დილის 9:00 საათზე და 14:30 საათზე. გამოცდის მიმდინარეობა იქნება უწყვეტ ნაკადად, მოსწავლეები ჯგუფების მიხედვით დაბარებული იქნებიან ყოველ ერთ საათში. მოსწავლე შედის სისტემაში პირადობის მოწმობით თერთმეტნიშნა კოდით; სახელით და გვარით, ამის შემდეგ მისთვის იქნება განსაზღვრული პაროლი, რომელიც წინასწარ ცნობილი არ არის არც მეთვალყურისათვის და არც მოსწავლისათვის. ამით ტესტირების კონფიდენციალურობა მაქსიმალურად დაცული იქნება.

თითოეული მოსწავლისთვის ყოველი გამოცდისათვის განსაზღვრული დროა 1 საათი და 40 წუთი. თითოეულ დავალებაზე გათვლილია 2 წუთი. გარდა ამისა, მოსწავლეს ემატება სარეზერვო დრო–10 წუთი. თუ მოსწავლემ დავალებას მოანდომა 2 წუთზე ნაკლები, დარჩენილი დრო ემატება სარეზერვო დროს, ხოლო თუ მოანდომა 2 წუთზე მეტი, დროის რეზერვი იკლებს.

გამოცდის დასრულებისთანავე მოსწავლისათვის ცნობილი ხდება მიღებული ქულა.

ვსარგებლობ შემთხვევით და წარმატებებს ვუსურვებ ყველა კურსდამთავრებულს.

მოსწავლეებს გარდა საატესტატო გამოცდებისა, წინ კიდევ უფრო რთული, ეროვნული გამოცდები ელოდებათ. ამ მხრივ ხომ არ არის რაიმე ცვლილებები?

–მიმდინარე წლიდან აბიტურიენტთა რეგისტრაცია ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოხდა შერეული წესით – განცხადების ფორმის შევსებითა და ელექტრონულად შემდეგ მისამართზე www.naec.ge. სულ დარეგისტრირდა 165 აბიტურიენტი. რაც შეეხება ცვლილებებს, არის ის რომ რამოდენიმე ფაკულტეტზე სამართალი, ჯანდაცვა, ბიზნესის ადმინისტრირება, გარდა ტურიზმისა; მასობრივი კომუნიკაცია, ჟურნალისტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, საჯარო მმართველობა, გაიცემა მხოლოდ 100 პროცენტიანი დაფინანსება.

როგორც ვიცით, დასრულდა მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების რეგისტრაცია, არის გარკვეული სიახლეებიც...?

მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები წელს ისევ ტარდება. შარშან თუ მხოლოდ მათემატიკის, ქართული ენისა და ლიტერატურის და უცხო ენების მასწავლებლებს ჰქონდათ საშუალება ჩაებარებინათ საგნობრივი გამოცდა, წელს ეს შესაძლებლობა ეძლევა ყველა საგნის მასწავლებელს, მათ შორის დაწყებითი კლასის მასწავლებლებსაც.

მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარების მიზნით, საგანმანათლებლო რესურსცენტრში დარეგისტრირდა 257 მასწავლებელი, აქედან ორივე გამოცდაზე, საგნობრივში და პროფესიულ უნარებში –93 მასწავლებელი, მხოლოდ საგნობრივში–30 მასწავლებელი, ხოლო, მხოლოდ პროფესიულ უნარებში–164 მასწავლებელი.

შარშან, მოგეხსენებათ, სერთიფიკატი აიღო მუნიციპალიტეტის 8 მასწავლებელმა, ხოლო ცალ–ცალკე საგანი და პროფესიულ უნარები ჩაბარა 31 მასწავლებელმა. წელს გაცილებით უკეთესი შედეგების მოლოდინში ვართ.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს ყველა რეგიონში პედაგოგთა ტრენინგებს განახორციელებს, მათ შორის ხობის მუნიციპალიტეტში. ტრენინგებში მონაწილეობის მიიღება შეუძლიათ იმ პედაგოგებს, რომლებსაც 2010 წელს არ გამოუყენებიათ მათი კუთვნილი ვაუჩერი და უკვე დარეგისტრირდნენ სასერტიფიკაციო გამოცდისათვის. სახელმწიფო დაფინანსების ტრენინგებს მასწავლებლები პროფესიულ უნარებსა და შესაბამის საგანში გაივლიან. მიმდინარეობს ჯგუფების დაკომპლექტება. 13-16 აპრილს ტრენინგს გაივლის პროფესიულ უნარების ორი ჯგუფი.

მიმდინარე წლის თებერვლიდან გამოცხადდა საჯარო სკოლის დირექტორების *შესარჩევი კონკურსი, როგორ ჩაიარა მან ჩვენი სკოლების დირექტორებისათვის?*

დირექტორობის მსურველთა გამოცდა ორი ეტაპისგან შედგებოდა. პირველი ეტაპის ტესტირების,შედეგები უკვე ცნობილია. ტესტირება ჩატარდა კომპიუტერული პროგრამით ინდივიდუალური ტესტის საშუალებით. კონკურსის მეორე ეტაპი, გასაუბრება, მიმდინარეობს 2 მაისიდან 20 მაისამდე. კანდიდატებს ეძლევათ საშუალება წინასწარ მოცემული თემებიდან შეარჩიონ ერთ-ერთი და ელექტრონულ ფორმატში წარადგინონ მისი პრეზენტაცია.

რაც შეეხება ჩვენს მუნიციპალიტეტს, 27 საჯარო სკოლიდან 18 სკოლის არჩეული დირექტორი გვყავს. დირექტორების კონკურსში მონაწილეობის სურვილი მხოლოდ 8 ადამიანმა გამოთქვა. შედეგების საბოლოო გამოცხადებამდე თავს შევიკავებ. სავარაუდოდ, ივნისის ბოლოს მოხდება საჯარო სკოლის დირექტორთა კონკურსის განახლება.

დაიწყო პირველკლასელთა რეგისტრაციის მეორე ეტაპი, უფრო კონკრეტულად:

–პირველკლასელთა რეგისტრაცია ორ ეტაპად წარმოებს: პირველი მარტიდან თხუთმეტი მარტის ჩათვლით ის ბავშვები დარეგისტრირდნენ, რომლის დაძმა უკვე სწავლობს ან მშობელი ასწავლის აღნიშნულ სკოლაში, ხოლო სხვა პირველკლასელებისათვის რეგისტრაცია 15 მარტიდან 15 მაისის ჩათვლით წარმოებს. ყველა პირველკლასელს, რომელიც აღნიშნულ ვადებში გაივლის რეგისტრაციას საჯარო სკოლებში, სასწავლო წლის დასაწყისში სახელმწიფოსგან საჩუქრად პორტატული კომპიუტერი გადაეცემა.

2012–2016 წლის ახალი ეროვნული გეგმა უკვე შემუშავებულია, მოკლედ ამ გეგმის შესახებ მოგვიყევით?

დამტკიცდა *ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა 2012-2016 წლისათვის.* ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა დაინერგება ეტაპობრივად. 2011-2012 სასწავლო წელს I-VI კლასებში, 2012-2013 სასწავლო წელს –VII–XII კლასებში.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით რეკომენდებულია კლასკომპლექტებში მოსწავლეთა საერთო რაოდენობა ნაცვლად 20–სა, არ აღემატებოდეს 15–ს, ხოლო კლასების რაოდენობა–2–ს.

შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო კონკრეტულ სკოლაში ნაცვლად 5–სა მოქმედებს არჩევიდან 6 წლის განმავლობაში. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეროვნულ სასწავლო გეგმაში შევიდა ცვლილებები, რომელიც გამოიწვევს სახელმძღვანელოს შეცვლას.

კლასი დაძლეულად ჩაითვლება, თუ თითოეული საგნის ქულა არის 5 ან მეტი. ადრე კლასიდან კლასში გადასვლის ბარიერს განსაზღვრავდა სკოლა საერთო წლიური ნიშნის მიხედვით. საფეხური ჩაეთვლება დაძლეულად, თუ მოსწავლის საერთო საფეხურის ქულა არის 5,0 ან მეტი, ნაცვლად 5,1–ისა.

არჩევითი საგნები ისწავლება X-XII კლასებში 5 სემესტრის განმავლობაში, ადრე ისწავლებოდა XI-XII კლასებში. არჩევითი საგნების რაოდენობა არის 19. (გეოგრაფიული კვლევა, ეკონომიკა და სახელმწიფო, თეატრალური ხელოვნება, კინო-ხელოვნება, მესამე უცხო ენა და ა.შ.).

აბიტურის საათებზე დასწრება მიმდინარე სასწავლო წელს იყო ნებაყოფლობითი, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით აბიტურზე დასწრება აღირიცხება, რაც იმას ნიშნავს, რომ აბიტურის საათი გახდა სავალდებულო. ეს გახლავთ სასიკეთო ცვლილება, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მეთორმეტე კლასელებს, უკეთ მოემზადონ საატესტატო გამოცდებისთვის.

როგორც ჩვენთვის და არა მარტო ჩვენთვის, ცნობილია, ხობის საჯარო სკოლები მაქსიმალურად არიან ჩართულნი ყველა იმ საგანმანათლებლო კონკურსში, რაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით ტარდება. წარმატებებზე მოყოლა ვიცი, რომ არ გიყვართ, იმ პრინციპით, რომ დაე სხვებმა ისაუბრონ... და მაინც?

–საჯარო სკოლების ავმინისტრაცია სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით მაქსიმალურად ცვლიან ყველა საგანმანათლებლო პროექტში, მითუმეტეს თუ ის

>>>>> 8

სტუმარი 7 <<<<<

ინიცირებულია განათლებისა ვა მეცნიერების სამინისტროს მიერ, ჩართოს სკოლის მოსწავლეები ვა ამ მხრივ მოკრძალებული წარმატებებიც გვაქვს.

ვავიწყოთ ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტით, ***ეროვნული სასწავლო ოლიმპიადით.*** ყოველწლიურად ტარდება შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, უცხოური ენები, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ინფორმატიკა. ოლიმპიადა 3 ტურად ტარდება. დასკვნით ტურში გამარჯვებული 10 მოსწავლე ეროვნული ნაკრების წევრი ხდება, მონაწილეობას და მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადაში იღებს.

პრეზიდენტის მიერ ინიცირებული ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მიზანია: ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენა, სასკოლო რეფორმის ხელშეწყობა, სასკოლო ცხოვრების სტიმულირება, მოსწავლეების, პედაგოგების, სასწავლო პროცესის წახალისება. ყოველწლიურად იზრდება ოლიმპიადებში მონაწილე მოსწავლეთა რიცხვი და მათი მომზადების დონე.

2011 წელს, პირველად, ოლიმპიადის შესარჩევი, პირველი ტური უშუალოდ სკოლებში, სავანმანათლებლო რესურსცენტრების მიერ ჩატარდა. დარეგისტრირდა მუნიციპალიტეტის 1954 მოსწავლე, მეორე ტურში გადავიდა 1008 მოსწავლე. ოლიმპიადის მეორე ტურში მონაწილეობის უფლება იმ მოსწავლეებს მიენიჭათ, რომლებმაც ოლიმპიადის პირველ ტურში შესაბამისი საგნის ტესტის მაქსიმალური ქულის 50%-მდე დააგროვა. ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მეორე და მესამე ტური სამინისტროს გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა. მეორე ტური 11 მოსწავლე m14 საგანში გადალახა. რადგან თქვენი გაზეთის ფურცლებზე უკვე დაიწერა მეორე ტურში გამარჯვებული მოსწავლეების შესახებ, ამჯერად მოგახსენებთ დასკვნით ტურში გამარჯვებულ მოსწავლეებზე.

2010–2011 წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე, დასკვნითი ტურის გამარჯვებულთა ათეულში მოხვდნენ ქ. ხობის N1 საჯარო სკოლის მოსწავლე მარიკა ჯანჯღავა (ქართული ენა და ლიტერატურა, ბიოლოგია) და ხეთის საჯარო სკოლის მოსწავლე ფიქრია ხუნწარია (რუსული ენა).

ხობის №1 საჯარო სკოლის მოსწავლე მარიკა ჯანჯღავა მოწვეული გახლდათ საერთაშორისო ოლიმპიადის შესარჩევ ტურში ბიოლოგიაში.

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით მესამე წელია წარმატებით ატარებს ***ინტელექტუალური კონკურსის - „ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიას“*** .

ხობის მუნიციპალიტეტში კონკურსის პირველი ეტაპი უშუალოდ სკოლებში ჩატარდა, ხოლო მეორე, რაიონული ეტაპი, გაიმართება 2011 წლის 24 მარტს ხობის მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლში. კონკურსში მონაწილეობს 14 საჯარო სკოლის 21 გუნდი ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით.

რეგიონულ ტურში მონაწილეობის უფლება მიიღეს ხობის №2, ხამისქურის, ახალი სოფლის, წინაგოლის, ნოჯიხევის, ბიის, პირველი მაისის საჯარო სკოლის გუნდებმა.

რეგიონალურ ტურში, რომელშიც მონაწილეობდნენ სენაკის, ჩხოროწყუს, ფოთის, მარტვილის და ხობის სარაიონო ეტაპზე გამარჯვებული გუნდები, წარმატებით იასპარეზეს და ნახევარფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს: უმცროს ასაკობრივ ჯგუფში (V-VIII კლასი) - გუნდი „კანდელი“ (ახალსოფლის საჯარო სკოლა); უფროს ასაკობრივ ჯგუფში (IX-XII კლასი) - გუნდებმა „ლაზარე“ (ხობის N2 საჯარო სკოლა) და „ნოეს კიდობანი“ (პირველი მაისის საჯარო სკოლა).

მიმდინარე წლის 15 მაისამდე ხობის მუნიციპალიტეტში ნახევარფინალი ჩატარდება და მონაწილეობას ორივე ასაკობრივ კატეგორიაში სამეგრელო–ზემო სვანეთის ზონალურ ტურში გამარჯვებული 6-6 გუნდი მიიღებს.

წარმატებები მინდა ვუსურვო ხობელ მოსწავლეებს.

ქართულ ხელნაწერთა კულტურის ცენტრის მიერ ორგანიზებული კონკურსი **„ქართული კალიგრაფია“** მეორე წელია ტარდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით. შარშან ხობის მუნიციპალიტეტს ჰყავდა ფინალში გამარჯვებული კალიგრაფები, რომელთაც მიეცათ საშუალება საზაფხულო ინგლისურენოვან ბანაკში გაეტარებინათ 24 დაუვიწყარი დღე.

წელს მოსწავლეებთან ერთად კონკურში მონაწილეობა მასწავლებლებმაც მიიღეს. კონკურსის პირველი ეტაპის გამარჯვებულები არიან ბიის, ნოჯიხევის, ჭალადიდის, პირველი მაისის, შუა ხორგის, საგვიჩიოს, პატარა ფოთის, პატარა ფოთის ციტრუსების, ქვემო ქვალონის, ჭალადიდის საჯარო სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები.

საერთაშორისო კონკურს „ალიანტეს“ (ეროვნული კოორდინატორი: ახალი თაობა – ახალი ინიციატივა) **პირველი ტური გადალახეს** ხეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა აკაკი ხუნწარია–VIII კლასის მოსწავლე და ელდარი ჭაავა _VIII კლასის მოსწავლე.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მთელი საქართველოს მასშტაბით ჩაატარა კონკურსი ***აკაკი წერეთლის კვირეული.*** რაიონულ დონეზე გაიმარჯვა ორმა სკოლამ ხობის №1 და შუა ხორგის საჯარო სკოლამ, ხოლო ხობის №1 საჯარო სკოლამ საქართველოში მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა და გადაეცა სამინისტროსგან ფულადი პრემია 3000 ლარის ოდენობით.

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა გადამზადების პროგრამას სამეგრელო ზემო-სვანეთში ახორციელებს ასოციაცია „ათინათი“. პროექტის ფარგლებში ტრენინგებსა და ღონისძიებებში ჩართული იყო რეგიონის რამდენიმე საჯარო სკოლა. მათ შორის ხობის მუნიციპალიტეტის №1, ხობის № 2 და ხეთის საჯარო სკოლა. ხობის № 2 საჯარო სკოლის გუნდი წარმატებული აღმოჩნდა დაგეგმილ ღონისძიებებში და სკოლის მოსწავლეები ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ: პროექტ „ჩამოართვი ხელი ჯანმრთელობას“ ფარგლებში გამარჯვებული საკონკურსო პლაკატისათვის და ლოზუნგისათვის. ასევე დაფინანსდა კლუბის მიერ შემუშავებული პროექტი „კონფლიქტში მყოფი მოსწავლეები“ (პროექტის ავტორი ნიკა სურმავა).

FLEX პროგრამის ფარგლებში ორგანიზებული კონკურსის სამივე ტური წარმატებით გაიარა საერო სკოლა „არეას“ X კლასის მოსწავლემ ლევან საბახტარაშვილმა და ერთი წლით განათლების გაგრძელების უფლება მოიპოვა ამერიკის შეერთებულ შტატებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე სკოლის X კლასის მოსწავლემ ემილი ლაგვილავამ წარმატებით გაიარა აღნიშნული კონკურსის ორი ტური.

ზათუნა, სპორტი ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია, ვიცი ისიც, რომ ჩვენი სკოლები აქტიურად არიან ჩართულები სპორტულ ღონისძიებებში, რას გვეტყოდით?

რაც შეეხება *სპორტულ შედეგებს,* წელს აღსანიშნავია საჯარო სკოლების ჩართულობის მაღალი ხარისხი სპორტულ ღონისძიებებში, რომელთა ნაწილი ორგანიზებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, ნაწილი კი აღგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ.

ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით და ხობის რესურსცენტრის თანადგომით შეჯიბრებები საჯარო სკოლებს შორის გაიმართა მაგიდის ჩოგბურთში, კალათბურთსა და ფრენბურთში. საჯარო სკოლები ემზადებიან მხიარული სტარტებისათვის.

მაგიდის ჩოგბურთში გუნდურ პირველობაზე პირველი ადგილი დაიკავა შუა ხორგის სკოლის გუნდმა, მეორე ადგილზე გავიდა ქვ. ქვალონის საჯარო სკოლის გუნდი, ხოლო მესამე საპრიზო ადგილი ჭალადიდის საჯარო სკოლამ. პირად პირველობებში ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: პირველი ადგილი ჭაბუკთა შორის ანრი მამფორიამ (ქვ.ქვალონის საჯარო სკოლა) და გოგონათა შორის თამუნა თითმერიამ (შუა ხორგის საჯარო სკოლა) დაიკავა. გამარჯვებულები თასებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

კალათბურთში ჭაბუკთა შორის ადგილები შემდეგ ნაირად გადანაწილდა: I ადგილი- ხობის №1 საჯარო სკოლა, II ადგილი-ახალისოფლის საჯარო სკოლა, III ადგილი-ახალი ხიბულის საჯარო სკოლა. გოგონათა შორის პირველი ადგილი მოიპოვა-ქ.ხობის №1 საჯარო სკოლამ, მეორე ადგილი - შუა ხორგის საჯარო სკოლამ, ხოლო მესამე ადგილი - ახალი ხიბულის საჯარო სკოლამ.

ჩატარდა რაიონული გუნდური ჩემპიონატი ჭადრაკში ბატონი მამუკა გეთიას მხარდაჭერით 1998-99 წელს დაბადებულ ჭაბუკა და გოგონათა შორის. პირველი ადგილი დაიკავა ხობის №2 საჯარო სკოლამ და ბრძოლას გაგრძელებს რეგიონულ ტურნირში. მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ მამუკას თანამშრომლობისათვის.

მძლეოსნობაში ისევ ამავე ასაკობრივ კატეგორიაში ჭაბუკთა შორის გამარჯვება მოიპოვა ხობის №2 საჯარო სკოლამ, ხოლო გოგონებს შორის ნოჯიხევის №1 საჯარო სკოლამ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით შესაბამისი სპორტული ფედერაცია ატარებს შეხვედრებს კალათბურთში, ფრენბურთში, ქართულ ჭიდაობაში და სკოლბურთში.

გმადლობთ ამომწურავი პასუხებისთვის. გისურვებთ წარმატებებს.

P.S. მიუხედავად იმისა, რომ მაისის თვეში მთელი საგანმანათლებლო სისტემის ყურადღება გადატანილია კატის გამოცდების ორგანიზებაზე, სასწავლო წლის ბოლოსთვის მიღწეული შედეგების შეჯამების მიზნით რესურსცენტრს დაგეგმილი აქვს რამდენიმე საინტერესო კონკურსი, რომლის შესახებ მოგვიანებით მოგახსენებთ.

ნინო გერგაია.

ზრდ „ქალის“ გამოცდილება გვქონდეს

მიეცი ნიჭსა გზა ფართო...

ახალი პროგრამა, ახალი იდეები

ჩვენი ახალი რუბრიკა მიზნად ისახავს წარმოვაჩინოთ ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც წლების შემდეგ უდაოდ იტყვიან თავიანთ სათქმელს თავიანთი ქალაქის საკეთილდღეოდ. გაზეთის ფურცლებზე წარმოჩინება მათთვის ერთგვარი სტიმულის მიმცემია. დღეს მინდა წარმოგიდგინოთ პროგრამა „ხობის ახალგაზრდული იდეის“ წევრები და მათი ლიდერი ხობის №1 საჯარო სკოლის მოსწავლე ***მარი კეკელია.***

მარი, კონკრეტულად ეს პროგრამა რა მიზანს ისახავს?

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამა „ახალგაზრდული იდეა“ (EPF) ჩრდილოეთ ირლანდიის სათემო ფონდთან პარტნიორობით ხორციელდება. პროექტის მთავარი მიზანი გახლავთ საზოგადოებრივ საქმიანობაში 14-იდან 25 წლამდე ახალგაზრდების აქტიურად ჩაბმის ხელშეწყობა. ახალგაზრდული იდეა საშუალებას აძლევს ახალგაზრდებს, განახორციელონ თავიანთი იდეები მათი უბნების, სოფლებისა თუ ქალაქების საკეთილდღეოდ. წარმოდგენილი იდეები მცირე ფინანსური დახმარების საშუალებით კონკრეტულ პროექტებად იქცევა.2011 წელს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამა „ახალგაზრდული იდეა“ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში წარმატებით ხორციელდება. წელს ამ პროექტს ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობა შეუერთდა.

ჩაატარეთ?

ხობის №1 საჯარო სკოლის დირექციამ გამოგვიყო 1 ოთახი, სადაც კვირაში ერთხელ ვიკრიბებით და ვგეგმათ საქმიანობებს. ამ დროისთვის ჩავატარეთ კვლევა ხობის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ახალგაზრდულ პრობლემებთან დაკავშირებით და პრიორიტეტებიც გამოკვეთა. ეს გახლავთ: განათლების ხარისხი სკოლებში, გარემოს დაცვა, ნარკომანიასთან ბრძოლა. ჩავატარეთ ტრენინგები ხობის საჯარო სკოლებში. „ხობის ახალგაზრდულმა იდეამ“ სამივე პრიორიტეტულ თემაზე გამოაცხადა კონკურსი.

„ხობის ახალგაზრდული იდეის“ წევრები არიან მოსწავლეები: **მაია კვიკვინია**–ხობის №1 საჯარო სკოლა, **მარიამ კეკელია** და **ნუკრი ნარმანია**–ხობის №2 საჯარო სკოლა, **გიორგი კემულარია**– ზუბის საჯარო სკოლა, **გოგიტა ლეფსაია**– შუა ქვალონის საჯარო სკოლა, **მერაბ გაბისონია**– პირველი მაისის საჯარო სკოლა, **თამთა ქარდავა**– ხეთის საჯარო სკოლა, **თიკო აბშილავა**– თორსის საჯარო სკოლა, **ნინო ფირცხალავა**– პატარა ფოთის საჯარო სკოლა.

რა კრიტერიუმით შეირჩა მოსწავლეები?

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა საჯარო სკოლებში გაავრცელა აპლიკაციები, შესაბამისი აპლიკაციების შევსების შემდეგ ჩაატარა გასაუბრება თითოეულ აპლიკანტთან და სათანამშრომლოდ შეარჩია 9 მოსწავლე. გამარჯვებული მოსწავლეები ვიმყოფებოდით სასტუმრო „ბაზალეთში“ 4 დღიან ტრენინგზე, ჩვენთან ერთად იყვნენ სხვა რეგიონის წარმომადგენლებიც. ტრენინგებს როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ტრენერები ატარებდნენ. ტრენინგის მიზანი იყო, უკეთ გავრკვეულიყავით „ახლგაზრდული იდეის“ არსში და სამომავლო პერსპექტივებში. ტრენინგები სავსე იყო სტრუქტურირებული გამოცდილებებით. ყველა მონაწილეს გადაეცა ახალგაზრდული იდეის სერთიფიკატები. აქ მიღებული ცოდნა და გამოცდილება დაგვეხმარება მცირე გრანტების მართვაში (დაახლოებით 300-500 აშშ დოლარი), რომლებიც ხობის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილ და გამარჯვებულ მცირე პროექტებზე გაიცემა.

ამ დროისთვის რა ღონისძიებები

საკონტაქტო ინფორმაციისთვის და კონსულტაციისათვის დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართონ 897 952397 ნომერზე და ელ.ფოსტაზე– xobiyb@gmail.com.

„ხობის ახალგაზრდული იდეა“ იტოვებს იმედს, რომ ბევრი საინტერესო პროექტი დაიწერება და მათ შორის გამარჯვებულიც გამოლინდება.

გისურვებთ წარმატებებს.

ესაუბრა ნინო გერგაია

„ჩემი სოფელი ჩემი სიამაყეა!“

სოფელი

სოფელი ხამისქური ხობის მუნიციპალიტეტში, ურთის მთის სამხრეთ-დასავლეთ კალთის ძირას მდებარეობს. 1930-32 წლებში ხამისქური ხეთას ეკუთვნოდა. შემდეგ ხეთას რამოდენიმე სოფელი გამოეყო. მათ შორის ხამისქური. სოფელში ფუნქციონირებს ხამისქურის საჯარო სკოლა, საბავშვო ბაგა-ბაღი, სამედიცინო ამბულატორია, სოფლის საუნჯეს ისტორიული ადგილები წარმოადგენს.

სოფლის ისტორიული ადგილები:

ჯეგეთა

საკმაოდ მაღალი, კონუსური მოყვანილობის ჯეგეთას მთა მდებარეობს კოლხეთის დაბლობის დასასრულსა და დასაწყისში, იმ მთაგრეხილის ქსელში, რომელიც ჩრდილოეთით აკრავს ამ დაბლობს. ჯეგეთის სილუეტი ბატონობს ამ მხარეში და ერთ დროს გზის მაჩვენებელსაც კი წარმოადგენდა შავი ზღვის სტიქიასთან მებრძოლი გზადაკარგული გემებისათვის. ადგილიობრივ მკვლევართა გადმოცემით, ძველი სამთავრობო გზა თურმე ამ მთის ძირში, დასავლეთით გადიოდა. „ჯეგეთა“ არქიტექტურული კომპლექსია, იგი შედგება წმინდა გიორგის სახელობის პატარა სამლოცველოსაგან, პალატისა და გალავნის ნაშთებისაგან, სამლოცველოს სახურავი მთლიანად, კედლები კი ნაწილობრივ დანგრეულია. ადრე აქ, ვიდრე მიწისძვრა მოხდებოდა, დიდი ეკლესია მდგარა.

ყორღანი

სოფელ ხამისქურში მდ. უტორის მარცხენა ნაპირზე ყორღანი მდებარეობს, მისი ფართობი 60 კვ. მეტრამდეა. სიმაღლე 70-80 სმ. ამ ყორღანის სამხრეთით მდებარე მიწის ნაკვეთების დამუშავების დროს აუარებელი კერამიკული ნამსხვრევები იქნა მიწის ზედაპირზე გამოფენილი.

ურთას კალთაზე საკვარაცხელიოში, ციმუერთან ჩეღალუს /თეთრი ღელე/ მარცხენა და მარჯვენა ნაპირზე არის ორი ყორღანი, ერთს ეწოდება საკვარაცხელიოს ყორღანი, მეორეს კი მისარონკარის ანუ მისიონერთა კარის ყორღანი. ორივე კონუსური მოყვანილობისაა, სიმაღლით 5-7 მეტრი. შეიმჩნევა კერამიკული ნაშთები.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სოფელში არის ერთი საჯარო სკოლა, სკოლის ისტორია სკოლის დირექტორმა ქალბატონმა ლელა კუკავამ მოგვაწოდა.

–ხამისქურის–საკუკაოს დაწყებითი სკოლა გაიხსნილია 1908 წელს. სწავლა ტარდებოდა მასწავლებლის ალექსანდრა ცაგურიძე-დგებუაძის სახლში 1912 წლამდე. სკოლა გახსნილია საკუკაო-ნაწარუს ეკლესიის შემოწირულობით მღვდლის, ვინმე კუკავას მეშვეობით. ა. ცაგურიძე-დგებუაძის სახლიდან სკოლა გადაუტანიათ გახუ ფარცვანიას სახლში, რომელიც სოფლის მამასახლისის მოადგილე ყოფილა.

ერთხანს საკუკაოს დაწყებითი სკოლა ამ სახლიდან საკუკაო-ნაწარუს ეკლესიაში გადაუტანიათ. შემდეგში სკოლისათვის ხუთთვლიანი სახლი რკინიგზის ნაპირას გამდინარე წყაროს პირდაპირ მდებარე მიწის ფართობზე აუშენებიათ. ამ დაწყებითი სკოლის პირველი გამგე ყოფილა შალვა ქირია. მასწავლებლები: დები ნიფადორა და ტერეზია კუკავები; აქვე სხვადასხვა დროს უმუშავნიათ ტატიანა კუკავას, ტერეზია ჯობავას, ოლია და ნეონილა კობახიძეებს, ვარვარა გეთიას, ნიკიფორე ხარჩილავას; გამგედ ლუკიანე კობახიძეს, ვერა კუკავა- ნადარეიშვილს, (მომიტევეთ თუ ვინმე გამომრჩა).

დაახლოებით 1930-32 წლებში სოფელი ხეთა დაიყო ადმინისტრაციულ ერთეულებად და სწორედ ამ პერიოდში სოფელ ხამისქურში გაიხსნა შვიდწლიანი(შემდეგ რვაწლიანი) სკოლა. სკოლის ხის შენობა აშენებულიქნა პიერ კობახიძის ეზოში. აქ პირველ დირექტორად უმუშავნია ხეთელ ვარლამ ლატარიას.

ხამისქურის შვიდწლიანი სკოლა 1964 წელს საშუალო სკოლად გადაკეთდა. პირველი გამოშვება 1966-67 სასწავლო წელს იყო. სკოლის დირექტორად დაინიშნა ხარიტონ კაკულია, სასწავლო ნაწილის გამგედ ნათელა კობახიძე, ორგანიზატორად პეტრე ფარცვანია.

გასული საუკუნის 80-იან წლებში მაშინდელი ხობის რაიკომის პირველი მდივნის ბატონ ნუგზარ ნადარაიას უშუალო ხელმძღვანელობით სკოლას, ვინაიდან პიერ კობახიძის ეზოში იყო გაშენებული –მისი სახელი ეწოდა. სკოლის ეს სახელწოდება ამჟამად არ იხსენიება.

სოფელის საჭირბოროტო საკითხებზე სასაუბროდ რედაქციაში მოვიწვიეთ გამგეობის რწმუნებული სოფელ ხამისქურში ბატონი ვასო კუკავა, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ვლადიმერ სერგია და ლაშა ცატავა.

ბატონო ვასო, დამეთანხმებით ალბათ, რომ თუ არა სოფლის მხარდაჭრა, ამდენ ხანს „სოფლის თავკაცად“ ყოფნა გაგიჭირდებოდათ...

–სრულიად გეთანხმებით, სოფლის მხარდაჭერა რომ არა, ამდენი ხანი მეც ვერ შევძლებდი ამ თანამდებობაზე გაჩერებას. ჯერ კიდევ 1991 წელს მივიღე პირველი ნდობის მანდატი თანასოფლელებისაგან. ამის შემდეგ მრავალი პრობლემის ერთად გადალახვა მოგვიწია.

ამ ხნის განმავლობაში რისი გაკეთება შეძელით სოფლისათვის და რა სამომავლო გეგმები გაქვთ?

–სოფელში ჩემი მუშაობის პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოხდა შიდა სასოფლო გზების შეკეთება, ცენტრალური გზის განათება, ადმინისტრაციული შენობის კაპიტალური რემონტი, სადაც დღეს საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს. ადმინისტრაციას ამბულატორიის შენობაში გაურემონტდა ოთახი. სოფლის ცენტრში ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონი მოეწყო. აგრეთვე ჩემი მუშაობის პერიოდში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სოფელში არაერთი სამუშაოები ჩატარდა. მიუხედავად ყველაფრისა, ჯერ კიდევ საკმარისადაა მოუგვარებელი საკითხები: არსებული წყალგაყვანილობის სარეაბილიტაციო სამუშაოებია ჩასატარებელი და ახალი წყალსადენის დარჩენილ ტერიტორიაზე გაყვანა არის მოსაგვარებელი. სარემონტოა შიდა სასოფლო გზები, ამოსაწმენდია არხები, კეთილმოსაწყობია სოფლის ცენტრი, ასაშენებელია ახალი მოსაცდელი და ა.შ.

უკვე რამოდენიმე წელია, მთელ ქვეყანაში ძალიან ეფექტურად მუშაობს პრეზიდენტის „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამა, ამის შესახებ რას გვეტყოდით?

–ჩვენს სოფელშიც 2009-10 წლებში გამოყოფილიქნა შესაბამისი თანხა. გაკეთდა მინი სტადიონი, შეკეთდა შიდა გზები, მოეწყო ღელეებზე დამცავი ზოლები „გაბიონები“. ორ უბანში გაკეთდა ახალი სათავე ნაგებობა წყალსადენისათვის და დაახლოებით 50 ოჯახს მიეწოდება წყალი. ამ წელს უკვე ჩატარდა სოფლის კრებები, შედგენილია ხარჯთაღრიცხვები და ამ პროგრამით გათვალისწინებულია უბნების მიხედვით შიდა სასოფლო გზების შეკეთება, ორი ხიდბოგირის მოწყობა, საყანე ფართობების შემოკავება. ახალი წყლის სათავე ნაგებობის გაკეთება რომელიც მოემსახურება 60 ოჯახს. აღნიშნული სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება.

სოფელს საკრებულოში აგრეთვე ყავს ორი დეპუტატი: ***ლაშა ცატავა****–პროფესიით ეკონომისტი. სოფელ ხამისქურის საჯარო სკოლის მასწავლებელი, შ.პ.ს. „ხობის მოამბე“-ს რეკლამისა და მარკეტინგის მენეჯერი.*

ვლადიმერ სერგია*–პროფესიით იურისტი. სოციალური მომსახურების სააგენტოს რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრის მთავარი სპეციალისტი.*

მინდა ორივეს, როგორც საკრებულოს წევრებს და თქვენი სოფლის „სახეებს“ მოგმართოთ, რა ფუნქციები გაგაჩნიათ და როგორ ახერხებთ მის განხორციელებას?

ლაშა, როგორც მასპინძელი, თქვენით დავიწყოთ:

–თუ უფლებას მომცემთ ცოტა შორიდან დავიწყებ: საკრებულოს წევრი არის საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესაბამისად ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოში არჩეული პირი. საკრებულოს წევრის ფუნქციები და მოვალეობებია, მონაწილეობა მიიღოს საკრებულოს სხდომებსა და საკრებულოს კომისიათა მუშაობაში. ვალდებულია არანაკლებ წელიწადში ერთხელ ჩააბაროს ანგარიში ამომრჩეველს გაწეული საქმიანობის შესახებ.

საუბარი კანონის ენით კარგია, მაგრამ მოსახლეობასთან, თანასოფლელებთან თქვენი დამოკიდებულება როგორია?

–მე, როგორც ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, აქტიურად ვთანამშრომლობ ჩემი სოფლის მოსახლეობასთან, ვიზიარებ მათ ინტერესებსა და პრობლემებს, რათა მათ გადასაჭრელად დროულად იქნას მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებები მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ორგანოების მიერ. აქტიურად ვთანამშრომლობ ჩვენი მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყველა კომისიასთან და მათთან კოორდინირებული მუშაობის ფონზე მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით არა ერთი გადაწყვეტილება მიუღია საკრებულოს.

ბატონო ვლადიმერ, თქვენ რას დაამატებდით?

–რაც შეეხება ზემოთ დასმულ თქვენს შეკითხვას, მინდა გიპასუხოთ, ჩემმა კოლეგებმა ამომწურავად ისაუბრეს. მე დავამატებდი, რომ სოფლად ჯერ-ჯერობით ყველა პრობლემა აღმოფხვრილი არ არის და გასაკეთებელი კიდევ ბევრი დაგვრჩა, მაგრამ მინდა გითხრათ მომავალშიც დაგეგმილია და გრძელდება ასეთი პროექტების განხორციელება, რომელიც ასევე ხელს შეუწყობს სოფლის ეკონომიკური დონისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას, ვინაიდან, მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის მიერ სოფლის პროგრამის ფარგლებში პროექტების განხორციელებისათვის გამოყოფილია 37-ათასი ლარზე მეტი, რომელიც თანაბრად გადანაწილდება სხვადასხვა უბნებში და სოფლის მოსახლეობის მოთხოვნების გათვალისწინებით ყველა უბანში მოხდება ჯერ კიდევ არსებული პრობლემების მოგვარება.

არ შემიძლია, ორიოდე სიტყვით ჩვენი სოფლის ახალგაზრდობას არ შევეხო, რომლებიც ჩვენს გვერდით აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სოფლის ყველა საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტისას. ძალიან ვამაყობთ ჩვენი ახალგაზრდებით, მართლაც ძალიან ჭკვიანი და განათლებული ახალგაზრდები გვყავს, რაც მართლაც, რომ საამაყოა. აქვე მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ძალიან გვიყვარს ჩვენი სოფელი, ჩვენი მუნიციპალიტეტი და ჩვენი ქვეყანა და მუდამ ჩვენი ქვეყნის, მუნიციპალიტეტის, სოფლის სამსახურში ვიქნებით. და ბოლოს დავასრულებ „ჩემი სოფელი, ჩემი სიამაყეა“.

გმადლობთ რედაქციაში სტუმრობისთვის.

მოამზადა
ნინო გერგაიამ.

9 მაისის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ხობში

2011 წლის 9 მაისს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურისა და ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ორგანიზებით ხეთის საბრძოლო დიდებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა ფაშიზმზე გამარჯვების 66-ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

ხსოვნის ველი ყვავილებით შეამკეს და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს 9 მაისის დღესასწაული მიულოცეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა ჭოხონელიძემ, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა იგორ ტყებუჩავამ, ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვეტერანებთან შეხვედრისას ხაზი გაუსვა მათ დამსახურებას ერისა და ქვეყნის წინაშე- „არა ომს, არა ძალადობას! 9 მაისი სწორედ სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვების დღეა. მე ღრმად მწამს, რომ ჩვენ გავხდებით მოწმე აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებისა არა ომით, არა ძალადობით, არა სისხლისღვრით, არამედ მშვიდობით, უნდობლობის ძლევითა და ჰუმანიზმით“.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს ულოცავს ფაშიზმზე გამარჯვების 66-ე წლისთავს და უსურვებს მხნეობას, ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს.

ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები ხობის მუნიციპალიტეტში და დადიანების საძვალე

6 მაისს კულტურული მემკვიდრეობის დღეების აღნიშვნასთან დაკავშირებით, ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამასახურის ორგანიზებით ხობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გაიმართა ლექცია-საუბარი „ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები ხობის მუნიციპალიტეტში და დადიანების საძვალე“. მომხსენებელმა საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია ხობის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ბოლო პერიოდში განხორციელებული არქეოლოგიური გათხრების შედეგების შესახებ. ლექცია-საუბარს ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, პედაგოგები და მოსწავლეები.

კულტურულ-საგანმანათლებლო საღამო-„ჩვენი კუთხის საგანძური“

მიმდინარე წლის 3 მაისს ხობის მუნიციპალიტეტის ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმში გაიმართა კულტურულ-საგანმანათლებლო საღამო - „ჩვენი კუთხის საგანძური“. საღამოზე წაკითხულიქნა საინტერესო მოხსენებები ქართული ფოლკლორის ისტორიის აქტუალურ საკითხებზე. ძველი და ახალი თაობის წარმოდგენლებმა საზოგადოებას წარუდგინეს მეგრული პოეზიისა და ხალხური სიმღერების საუკეთესო ნიმუშები.

ვიქტორინა-კონკურსი სამუსიკო სკოლაში

ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის ორგანიზებით ქალაქ ხობის სამუსიკო სკოლაში გაიმართა ვიქტორინა-კონკურსი მუსიკის ისტორიის თემატიკაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ განათლების ცენტრის სამუსიკო სკოლის სოლფეჯიოსა და მუსიკის ლიტერატურის ჯგუფის წრის მოსწავლეები. მოსწავლეებმა გამოავლინეს ქართული და უცხოური მუსიკის ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა.

ჟიურის გადაწყვეტილებით, კონკურსის გამარჯვებული გახდა გუნდი „ზამბახი“. ვიქტორინა-კონკურსის აქტიურ მონაწილეებს გადაეცათ სიგელები.

მშვიდობა არის ადამიანის ოჯახისა და თითოეული წევრის ღირსეული და მშვიდი ცხოვრების წინამძღვარი

მეოცე საუკუნე ყველაზე საბედისწერო იყო კაცობრიობის ისტორიის მანძილზე, რადგან მან მოიტანა უამრავი კონფლიქტი, ენით აუწერელი ტანჯვა და წარმოუდგენელი დანაშაულობანი. ერთი ჯგუფი ან ერთი მეორეს ზედიზედ თავს ატეხდა უზომო ძალმომრეობას, რომელსაც ზოგჯერ ამოძრავებდა სიძულვილი, უსაზღვრო ამპარტავნობა, ძალაუფლებისა და ფულის მოხვეჭის წყურვილი. მეოცე საუკუნისაგან მემკვიდრეობით მივიღეთ პოლიტიკიური, ასევე მეცნიერულ–ტექნიკური მექანიზმები, რომლებიც თუ გვექნება მათი გამოყენების ნება–დაგვაძლევინებსა იმ პრობლემებს, მსოფლიოს ხალხების წინაშე მწვავედ, რომ დგას.

ოცდამეთერთმეტე საუკუნეში უნდა გავიგოთ, რომ მშვიდობა სჭირდება არა მარტო სახელმწიფოებს ან ხალხებს, არამედ თითოეულ ადამიანს.

მშვიდობიანი თანარსებობისათვის აუცილებელია საკუთარი უფლებების ცოდნა და სხვისი უფლებების პატივისცემა. ***ეს უფსკრული გავლენას ახდენს ღატაკებზე და დაბეჩავებულებზე, რომლებიც არავისზე ნაკლებად იმსახურებენ ადამიანურ ღირსებას, ძირითადად თავისუფლებას, უშიშროებას, საკვებსა და განათლებას.*** ამ გათიშულობის შედეგებს ყველა გრძნობ,– მდიდრებიც და ღარიბებიც, ყველა რასისა და რელიგის ქალებიც და მამაკაცებიც. დღეს საზღვარი სახელმწიფოთა შორის კი არ გადის, არამედ ძლიერთა ამა ქვეყნისათა და უმწეოთა, თავისუფალთა და შებორკილთა, პრივილიგირებულთა და დამცირებულთა შორის. ადამიანის უფლებებს დიდი და ერთნაირი ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვთ როგორც ღარიბების, ისე მდიდრებისათვის, ***ისინი ისევე აუცილებელია, როგორც განვითარებული ქვეყნების, ასევე განვითარებადი ძვეყნების უშიშროებისათვისაც.*** მხოლოდ ისეთ მსოფლიოში, სადაც აღარ იქნება სიღატაკე, ყველა ქალი და მამაკაცი სრულად გამოავლენს თავის შინი მცხოვრებნი, რომლებიც იხოცებოდნენ, გარშემო კი ყველაფერი ინგრეოდა.

ყოველ დიდ რწმენასა და ტრადიციაში მოიპოვება ისეთი ღირებულება, როგორიცაა ტოლერანტობა (შემწყნარებლობა) და ურთიერთგაგება, ისტორიაში გვაქვს მაგალითები იმისა, თუ როგორ ცდილობდნენ სხვადასხვა ეროვნების ხალხები, მათი ლიდერები თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას არაძალადობრივი მეთოდებით. მათ მოქმედებებს საფუძვლად ედო სახარებისეული ფორმულა „გიყვარდეთ თქვენი მტრები“. ისინი ქადაგებდნენ, რომ ქრისტიანი ადამიანი არ უნდა შეეგუოს უსაქმურობას, მაგრამ მისი გული არ უნდა აღივსოს სიძულვილით. ძალადობა არ შეიძლება აღმოიფხვრას ძალადობით. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ არაძალადობრივი გზა ზნეობრივი იყო და ჩვეულებრივ ადამიანებში იგი ამაღლებდა ღირსების გრძნობას და საკუთარი ძალების რწმენას. „არაძალადობა არის ბრძოლა ძლიერი ადამიანებისა. არაძალადობრიობა უხმობს მოწინააღმდეგის გონებასა და სინდისს. იგი ებრძვის ბოროტებას და არა იმ ადამიანებს, რომელთაც ჩაიდინეს იგი. არაძალადობრიობა ეფუძნება რწმენას, რომ ეს სამყარო მხოლოდ სამართლიანობაზეა დამყარებული“. ეს ადამნიანები იბრძოდნენ არაძალადობრივი მეთოდებით, რომ სამაქალაქო უფლებები ველა ადამიანზე ერთნაირად გავრცელებულიყო. ამგვარი მეთოდებით ისინი სასურველ შედეგებს იღებდნენ.

თითოეულ ადამიანს დაბადებიდან აქვს ბუნებითი უფლებები. ეს არის ჰაერი, წყალი, საკვები, ჯანმრთელობა, უსაფრთხოება. ღირსება და პატივი. ამ უფლებების გარეშე არცერთ ადამიანს არსებობა არ შეუძლია, დროთა განმავლობაში საზოგადოების განვითარებასთან ერთად ადამიანებს ჩამოუყალიბდათ პიროვნულობის შეგნება და საკუთარი პატივისცემის მოთხოვნილება. შესაბამისად, ადამიანებს გაუჩნდათ შეძენილი უფლებები, ეს არის: სიცოცხლის უფლება, საკუთრების უფლება, განათლების უფლება, ქორწინების უფლება, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება, სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის უფლება და სხვა უფლებები. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, ***ადამიანები დაბადებით არიან თავისუფალნი და თანაბარუფლებიანნი თავიანთი ღირსებებით და უფლებებით. ყოველ ადამიანს კანონით მინიჭებულ უფლებებთან ერთად აქვს შესაბამისი ვალდებულებებიც.*** თავისუფლება ნიშნავს იმას, რომ ადამიანმა იმოქმედოს საკუთარი ნების შესაბამისად, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე, სხვისი უფლებების შელახვის გარეშე. სიძულვილი, შიში და უნდობლობა ის გრძნობებია, რომლებიც გვიბიძგებენ ადამიანები დავიყოთ უმდაბლეს და უმაღლეს კატეგორიებად რასის, სქესის, რელიგიის, ეთნიკური კუთვნილების, გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობების, პოლიტიკური იდეოლოგიის საფუძველზე. თუ არსებობს ასეთი განწყობა, მასთან ერთად არასწორი ინფორმაციაც, ერთი ნაბიჯი რჩება იქამდე, რომ მათაგან განსხვავებული ჯგუფის ადამიანები საერთოდ არ ჩათვალონ ადამიანებად. უსაფრთხოების შეგრძნებას შეიძლება განიცდიდეს თითოეული ადამიანი სიმდიდრისა და მდგომარეობის მიუხედავად. ***დღეს მსოფლიოში ძალიან დიდი უფსკრული არსებობს მდიდრებსა და ღარიბებს შორის.*** საძლებლობებს, მხოლოდ იქ, სადაც პატივსცემენ ადამიანის უფლებებს, უთანხმოება აღმოიფრხვება პოლიტიკური მეთოდებით და მშვიდობიანი გზით. მხოლოდ დემოკრატიულ გარემოში, სადაც პატივისცემით სარგებლობს მრავალფეროვნება და დიალოგი, შეიძლება აზროვნების თვითგამოხატვისა და თვითმმართველობის, აგრეთვე გაერთიანებათა თავისუფლების უზრუნველყოფა. ***თითოეული ადამიანი არის პატივისცემისა და დაფასების ღირსი. ჩვენ შეგვიძლია გვიყვარდეს საკუთარი თავი ისეთი, როგორებიც ვართ, მაგრამ არ უნდა განვიცდიდეთ სიძულვილს იმათ მიმართ, ვინც ჩვენგან განსხვავდება***. ჩვენ უნდა განვითარდეთ საკუთარი ტრადიციების წიაღში და, ამავე დროს, ვისწავლოთ სხვებისგან და პატივი ვცეთ მათ. გასულმა საუკუნემ მოგვცა იმის გაკვეთილი, რომ იქ, სადაც ადამიანის ღირსება ფეხქვეშ გაითელა ან საფრთხე შეექმნა, იქ, სადაც მოქალაქეებს წაერთვათ ძირითადი უფლება, თავად აირჩიონ მთავრობა, ან უფლება რეგულარულად შეცვალონ იგი, ხშირად წარმოიქმნებოდა კონფლიქტები, ამის გამო კი იტანჯებოდნენ სრულიად უდანაშაულო, მშვიდობიანი ადამიანებისა. არაძალადობრიობა უხმობს მოწინააღმდეგის გონებასა და სინდისს. იგი ებრძვის ბოროტებას და არა იმ ადამიანებს, რომელთაც ჩაიდინეს იგი. არაძალადობრიობა ეფუძნება რწმენას, რომ ეს სამყარო მხოლოდ სამართლიანობაზეა დამყარებული“. ეს ადამნიანები იბრძოდნენ არაძალადობრივი მეთოდებით, რომ სამაქალაქო უფლებები ველა ადამიანზე ერთნაირად გავრცელებულიყო. ამგვარი მეთოდებით ისინი სასურველ შედეგებს იღებდნენ.

ოცდამეერთე საუკუნეში უნდა გავიგოთ რომ მხოლოდ მოლაპარაკებების მეშვეობით არის შესაძლებელი გლობალური მშვიდობისა და თანამშრომლობის მიღწევა. ყოველი ადამიანის მიზანი უნდა იყოს სიღატაკის წინააღმდეგ ბრძოლა, კონფლიქტების აღკვეთა და ავადმყოფობის დაძლევა, მშვიდობა უნდა გახდეს რეალური და ხელშესახები თითოეული გაჭირვებული ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. მშვიდობას უნდა ვესწრაფოთ უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ იგი არის ადამიანის ოჯახისა და თითოეული წევრის ღირსეული და მშვიდი ცხოვრების წინამძღვარი.

თეა შურღაია

ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე"
იუბილეს შესახვედრად

ჩვენი სახელოვანი წინაპრები

ექვთიმე ცირდავა

ექვთიმე ცირდავა დაიბადა 1838 წელს ლუგელას ხეობაში (ჩხოროწყუს რ-ნი). ხეობა დაყოფილი ყოფილა უბნებად: ლეცირდე, ლეთოლორდე, ლეროგა, ლეგაბედე, რამეთუ იქ ცხოვრობდნენ ცირდავები, თოლორდავები, როგავები, ამჟამად იქ მხოლოდ საყანე მიწებია.

ექვთიმე ცირდავა 15 წლისა მოჯამაგირედ დადგომია აზნაურ შუკოჩია არახამიას. ეს პატიოსანი და ერთგული ბიჭი გაუმწესებიათ მწყემსად. შუკოჩია იმ დროს განათლებულ კაცად ითვლებოდა, რამეთუ მას წერა კითხვა სცოდნია.



ერთხელ შუკოჩიასთვის წერილი მოუტანიათ მაზრიდან, მას კი ხუმრობით მიურთმევია ექვთიმესთვის „წამიკითხე ნეტა შით რა წერიაო". ექვთიმემაც არ აცია და წერილი წაუკითხა ბატონს. აზნურს გაჰკვირვებია და უთქვამს" რა გინდა მითხრა წიე, ჩემმა ძროხებმა გასწავლეს წერა-კითხვაო?" ამაზე მწყემს ბიჭუნას უპასუხნია შიგადაშიგ მიწაზედ რომ მომიხაზავდი ასოებს ერთი თვალის შევლებით ვიმახსოვრებდი, მერე კი ვამტკიცებდი. ჯოხით ვჩიჩქნიდი მიწაზე ასოებს სანამ ძროხები ძოვდნენო.

–„ყოჩაღ წიე შენო" როხროხით მითხრა შუკოჩიამო,–იხსენებდა, ექვთიმე ხალისიანი და ინტერესიანი ბიჭი ყოფილა. აზნაური მას ხშირად აგზავნიდა ვინმე მაშურია მჭედელთან, რომელიც მთელ კუთხეში განთქმული ყოფილა თავისი ხელობითა და გულკეთილობით. მასთან მისულ სტუმარ-კლიენტს აუცილებლად დაანაყრებდა. აზნაურს ხან რა სჭირდებოდა და ხან რა. მჭედელი სანამ ნალს ან თოხს გამოჭედდა შიგადაშიგ ერთად წავიმღერებდითო, მას შვილი ყავდა თითქმის ჩემი ტოლი და მათთან მისვლა მიხაროდაო, თან კარგ ღვინოს, ღომის ღომს და „კოტოშ ლებიას გამოგვიტანდაო."

ერთხელ აზნაურის მეზობელმა ექვთიმეს უთხრა: „შენ ეს ბატონი არაფერს მოგცემს, ძალზე ძუნწია, ამის მოჯამაგირეობით შენ წლები მოგემატება, ჯობია ოჯახი შექმნა და შინ დაბრუნდეო. ჭკუაში ჩაჯდომია უფროსი კაცის ნათქვამი და ბატონისთვის განუცხადებია: „დროა სახლში მივდიოდე, მშობლები დაბერდნენ და მათ მივეხმაროო. ბატონს წასვლის ნება მიუცია და თან 10 წლის ნამუშევარი – ერთი ხარი მისცა. სახლისაკენ მიმავალს ცხენოსანი შეხვედრია. ერთმანეთს გამოესაუბრნენ, გზაზე მიმავალ ექვთიმეს ფეხი ატკივებია და მგზავრისთვის ხარი ცხენში გაუცვლია და ცხენოსნისათვის უთქვამს: „ასე უფრო ადვილად მივალ სახლშიო, მენატრება ლეცირდე და ლუგელას ხეობა, შინ მისული შეიძლება ვერც მიცნონ ათი წელი მანდ არ ვყოფილვარო"...

ექვთიმეს ლეცირდეში ოდა სახლი დაუდგამს, 26 წლისას შეურთავს ტასია სიჭინავა, მხიარული და გამრჯე ქალი, ხელმოკლეობის მიუხედავად მათ ოჯახში შრომისა და სიმღერის ჟინი სუფევდა. მათ ეყოლათ შვიდი შვილი.

1864 წელს 26 წლისამ შექმნა ოჯახი: 1864 წელს ეყოლა ვაჟი – სამსონი, 1867წ –სიმონი, 1872წ – პეტრე, 1876წ – ბარბარე, 1880წ – დესპინე, 1883წ – ნატა, 1888წ – დიმიტრი.

დიმიტრი ექვთიმეს ძე ცირდავა ჩხოროწყუ-ლეცირდეში დაიბადა, შემდგომ ცხოვრობდა მუხურში. მას ჰქონია 2 კლასის განათლება, შესანიშნავად ფლობდა რუსულს, მას მოუსწრო რუსეთ-თურქეთ-ავსტრიის ომმა და იტყოდა ხოლმე „ვიუჩილსა ნა ვაინე," იცოდა სიმღერები, ექვთიმესავით უკრავდა სალამურზე, ჩონგურზე, დაჯდებოდა ხოლმე ტყის ან მდინარის პირას დაიწყებდა სტვენას და მთელი ჩიტების გუნდი უპასუხოდ არ მტოვებენ,–იტყოდა ხოლმე.

სამსონი I მსოფლიო ომში დაიღუპა, სიმონი დაჭრილი დაბრუნდა უცოლშვილოდ გადაეგო ამ წუთისოფლიდან.

პეტრე ცირდავამ აფხაზეთში ქ. სოხუმში ოქროს ფულით იყიდა მიწები და იქ დასახლდა, შექმნა ოჯახი მინა ძაძამიასთან ერთად. ეყოლათ შვიდი შვილი, აბსოლუტურად ყველა მღეროდა. თვითონ აფხაზებთან ერთად გუნდში მღეროდა. დღესაც მღერის მისი შვილთა-შვილი ელგუჯა ცირდავა, რომელიც რუსეთში ცხოვრობს.

ბარბარე და დესპინე გათხოვდნენ სენაკში.

ნატა ცირდავა ზუგდიდში სოფ. ყულიშკარში მითხოვდა თედო კილავას.

დები ცირდავები კარგი დიასახლისები ყოფილან, ეხერხებოდათ ხელსაქმე და სოფელში თუ ვინმეს ქორწილი ჰქონდა მათი შეკერილი კაბები ეცვათ, ასევე მღეროდნენ და ჰქონდათ ძალიან ლამაზი ხმის ტემბრი, შეეძლოთ ყველა ხმა ემღერათ. ნატა ცირდავას განსაკუთრებული ხმა ჰქონია, ასევე უკრავდა ჩონგურზე, გიტარაზე, მანდოლინაზე.

ექვთიმეს შვილი პეტრე ძალიან ოხუნჯი და ხუმარა კაცი ყოფილა. ცხოვრობდა აფხაზეთში და როცა მისვლა-მოსვლა გაჭირდა – ეს იყო 1949 წელს, მოიგონა ოინი – მოკლედ დაძმებს უდეპეშა პეტრე გარდაიცვალა, ამა და ამ დღეს ვასაფლავებთო.

დაღონებული და-ძმები ნათესავებთან ერთად მანქანით ჩავიდნენ სოხუმში. მიადგნენ პეტრეს სახლს გვირგვინით, მანქანიდიან გამოსულებმა გაიხედს.... და ჰოი, საოცრებავ პეტრე საღ-სალამათი მოდის, ჭირისუფალი დაიბნა გვირგვინი ვერ დამალეს, მან სიხარულით გადაჰკოცნა ნათესაობა და მათ ჰკითხა რა მოხდა?! ერთად რამ შეგყარათ? ან ეს გვირგვინი რაში დარჭირდათ? ვის გასვენებაში ხართ ჩამოსულებიო. დაბნეული ჭირისუფალი სახტად დარჩა რა ეთქვათ არ იცოდნენ... პეტრემ ვეღარ მოითმინა გადაიხარხარა და გაუმხილა ეს დეპეშა მე გამოგიგზავნეთო, ძალიან მომენატრეთ, ყველასთან ვეღარ ჩავიდოდი და ეს ოინი მოვიფიქრეო. მან ჩამოსული სტუმრები მოიწვია, სახლში საგანგებოდ გაწყობილ სუფრას მიუსხდენენ ჩასული სტუმრები და პეტრე თავის აფხაზ მეგობრებთან ერთად. ეს იყო ნამდვილი მერგულ-აფხაზური ნადიმი, სადაც ერთმანეთს მიმართავდნენ „ქოგგალე" და „ახუთწკაი" ერთმანეთის მოსაფერებლად.

რძალი ბაბუცა ხარბედია იხსენებს: „მე რომ მომიყვანეს ჩემმა დედამთილმა გამაკვირვა, მან „ყილოშტყებამი" ზეპირად იცოდა. მიუხედავად იმისა, რომ მას არ ჰქონდა მიღებული განათლება. ბატონი დიმიტრი ხშირად იხსენებდა მამის სიმღერებს, მღეროდა სახლში და იტყოდა ხოლმე მამაჩემი თურმე თვითონ წერდა ლექსებს და თვითონვე აჟღერებდაო. დედაჩემთან ერთად მღეროდა და ბავშვებსაც გვამღერებდაო.

ჩვენ საოჯახო მესხიერებას რაც შემორჩა, ეს არის სიმღერები „ყოროფილქ გურ მიწყუნუ", „სი აგუნა ჩქიმ შურიში" „ოჯახიშ ამბე", „ცირა დო ბოშიშ ობირეში", „ჩქინ ლუგელა". ასევე ბაბუა მღეროდა ძმებ როგავებთან და თოლორდავებთან ერთად–„ჭყიშიშ ნაბირა", „მეურემე", „ოყონური", „მასქური", მაგრამ ამ ბოლო სიმღერების ტექსტი და მელოდია არ შემოგვრჩა.

გიული ცირდავა–დიმიტრის შვილიშვილი და ექვთიმეს შვილთაშვილი იხსენებს: „თურმე დიმიტრის სრულიად შემთხვევით გაუცვნია ჩხოროწყუელი ივანე ჩომახია, რომელიც შემდგომში არაერთხელ ყოფილა ცირდავების სასურველი სტუმარი. ერთერთი ლხინის დროს დიმიტრის უმღერია მამის ექვთიმეს სიმღერები, რაც ძალიან მოსწონებია ივანეს და მისთვის შეუთავაზებია წასულიყო ზუგდიდის მაზრაში და ჩაწერილიყო ძუკუს გუნდში, თუ არ ვცდები ეს იყო 1918-დან 1920 წლამდე პერიოდი. დიმიტრი რამოდენიმეჯერ ჩასულა ძუკუსთან, სადაც ივანემ და დიმიტრიმ იმღერეს ექვთიმეს სიმღერები. რაც ძალიან მოსწონებია ლოტბარს, მაგარამ მუხურიდან ზუგდიდამდე ხშირად ფეხით ჩასვლა გასჭირვებია დიმიტრის და მალევე მიუტოვებია გუნდი. ის იგონებდა ხოლმე: „არაჩვეულებრივი გუნდი იყო და შესანიშნავი მომღერლების თავშეყრის ადგილი, მაგრამ მე ვეღარ შევძელი მუხურიდან ზუგდიდში საირული" და ძლიერ ნანობდა. ასე დამთავრდა დიმიტრის სასიმღერო მოღვაწეობა.

როგორც ბაბუა იტყოდა, „ექვთიმე იყო გლეხი მწყემსი კაცი. არამომღერალი, არამოლექსე, არაკომპოზიტორი, მაგრამ მეგრული ლექსისა და მელოდიის მთხზველი, ჩვენი წინაპარი, რომელიც მღეროდა სამეგრელოს მთიან მხარეში, ლუგელის ხეობაში და რომლის ნამღერმაც მოაღწია ჩვენამდე".

ნანა ჯალაღონია,
ხობის „ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმის (სამეგრელო)" დირექტორი.

14 მაისი თამარობაა, გილოცავთ!

თამარ მეფე იყო დავით აღმაშენებლის შვილიშვილის გიორგი მესამისა (1156–1184წწ.) და დედოფალ ბურდუხაის ქალიშვილი. თამარ ბაგრატიონი დაიბადა 1166 წელს. გიორგის ვაჟი არ ჰყავდა. ქალის გამეფება იმ დროს არათუ საქართველოში, მსოფლიოშიც იშვიათი მოვ:ლენა იყო. გიორგიმ გადანყვიტა თავის სიკოცხლეშივე გაემეფებინა თამარი, რათა შემდგომში მას სირთულეები არ შექმნოდა. 1179 წელს გიორგიმ თანამოსაყდრედ აკურთხა იგი. მამა–შვილი ერთად მართავდა სამეფოს.

1184 წელს გიორგი III გარდაიცვალა და 18 წლის თამარი გახდა ერთპიროვნული მმართველი, საქართველოს პირველი ქალი მეფე.

თამარი გონიერი მეფე გამოდგა. მან ღირსეულად განაგრძო დავით აღმაშენებლისა და გიორგი მესამის დანყებული საქმე. სახელმწიფო მმართველობის სისტემა, რომლის რეფორმაც დაინყო დავით IV აღმაშენებელმა, საბოლოო სახით ჩამოყალიბდა თამარის მეფობის დროს.

XII–XIII საუკუნეების მიჯნაზე საქართველო იყო პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად ერთ–ერთი ყველაზე ძლიერი, დანინაურებული და უზარმაზარი სახელმწიფო. ერთიანი საქართველოს სახელმწიფო გადაჭიმული იყო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოსეთიდან არეგანამდე. ქართველები ამ პერიოდს უნოდებენ „ოქროს ხანას".

გამუდმებულმა მარხვამ, ფეხშიშველმა ლიტანიობამ, მონასტრის ქვის სარეცელზე ნოლამ და სამეფო ღვანლმა მეფეს ჯანმრთელობა შეურყია. თამარ მეფე გარდაიცვალა 1213 წელს და დასაფლავებულიქნა გელათის საკათედრო ტაძარში. არსებობს მოსაზრება, რომ შემდგომში შესაძლოა იგი იერუსალიმის ჯვრის მონასტერში გადაასვენეს.

ქართულმა ეკლესიამ თამარ მეფე წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 14(1) მაისი დაანესა.

იაგო კვიკვინია

ხსოვნა

ჩემო საყვარელო შვილო, იაგო! ჩემო ლამაზო, უსაყვარლესო, ჭკვიანო და ბეჯითო, დედ–მამის ღია ჭრილობავ. ერთი წელი იწურება, რაც მოწმენდილ ცაზე მეხმა გაიქუხა და საკვიკვინიოს უბანში მწუხარებამ დაისადგურა. ელგუჯა კვიკვინიას ოჯახში სიხარული და ბედნიერება დაუშრეტელმა ცრემლმა შეცვალა.

შვილო იაგო, განგებამ ალბათ ასეთი ბედი გარგუნა. შენ 13 წლის ბიჭი განსაკუთრებული იყავი ოჯახში, ნათესაობაში, სამეზობლოში, სკოლაში და ყველგან. იყავი მშრომელი, ყოველთვის ოჯახზე ფიქრობდი. შენი მიზანი იყო ფეხბურთელი გამხდარიყავი, მაგრამ არ დაგცალდა...

უჭირს შენს მშობლებს უშენობა, გვენატრები დედიკო, შენი მოფერება, შენი ჩახუტება, შენი კოცნა მინდა. დუმს შენი ოჯახი. შენი ძმა პაატა მუდამ სევდიანია, შენს საფლავს და სურათებს ეფერება.

დედიკო, შენი ეზო, რომელსაც სათუთად უვლიდი, ამჟამად უშენოდ ისევ აყვავდა.

ცრემლითა და ტკივილით აღსავსე დღეები მიქრიან. გაუსაძლისია შენი მშობლების მონატრება, ენატრები შენს ახლობლებს, მეზობლებს, ამხანაგებს, შენს მასწავლებლებს, მაგრამ...

ვლოცავ შენს მარადიულ სამყოფელს, იაგო შვილო, უფალს ვავედრებ შენს ნაადრევად ჩამქრალ სიცოცხლეს, შენთვის დანთებული სანთლები სასუფეველში გზას გაგინათებს. ლოცვა და სანთელია ჩვენი უწმინდესი ხიდი, ხიდი ჩვენი ურთიერთობისა. ღმერთმა სასუფეველში ამყოფოს შენი უკვდავი სული. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მიწა, ის ხომ შენი მეორე დედაა, რომელმაც დედის მოსვლამდე გულში ჩაგიკრა.

მოგონებებით მხოლოდ
შენ გიხმობთ,
ჩვენს გულებს გარეთ შენ
ვერ იქნები,
რადგან წახვედი, ნათელში
გევლოს,
დაგხმარებოდნენ ანგელოზები!

მშობლები მაია და ელგუჯა, ძმა პაატა.

ხალხის სამსახურში

სხვა ბედნიერება არც უნატრია...

მას ხობის მუნიციპალიტეტში ყველა იცნობს არა მარტო როგორც გამორჩეული ოჯახის შვილს, დიდი ოჯახის დიასახლისს, დედას, მეუღლეს, არამედ როგორც გამოცდილ პროფესიონალს, უკვე გამოცდილ პროვიზორს...

მქონდა ბედნიერება, მისი ცხოვრებისთვის ბავშვობიდანვე მიმედევნებინა კეთილი მზერა. მამაჩემი და შორენას მამა, ბატონი ჟორჟი ბუკია (სოფლის მეურნეობის დარგის გამოცდილი ხელმძღვანელი) მეგობრობდნენ და ოჯახებსაც ბუნებრივია, ახლო ურთიერთობა გვქონდა.

შორენა და მისი ერთადერთი და დიანა სკოლაშიც წარმატებულები იყვნენ და ცხოვრებაც წარმატებულად გააგრძელეს, რაშიც დედის ქალბატონ ლუბა გერგაიას დიდი დამსახურებაა... შორენამ სწავლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტულ ფაკულტეტზე განაგრძო, წარჩინებულ სტუდენტს ყველა პირობა ჰქონდა იმისთვის, რომ ინსტიტუტში დარჩენილიყო და სამეცნიერო საქმიანობა დაეწყო, მაგრამ მშობლების ნებიერა გოგონა მათ სურვილს დაემორჩილა, გულმაც არჩევანი ზუგდიდელ (ამჟამად ცნობილ ქირურგზე) თამაზ დიდიშვილზე გააკეთა და წლების შემდეგ პროვიზორი ქალბატონი მაინც ხობს დაუბრუნდა, შპს ფარმაცია „ანანო–95“ შექმნა და თავისი საქმიანობის ერთგულებაც და პროფესიონალიზმიც მის პატარა ქალაქს დაუმტკიცა...

იმ ავადმოსაგონარ გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა ქუჩაში გამოსვლაც კი საშიში იყო, ის ზუგდიდიდან დადიოდა და თავის ხალხს ემსახურებოდა...

ქალბატონი შორენა აფთიაქში მისულთა საუკეთესო მრჩეველი და დამრიგებელია, სიახლის მაძიებელი. იმის დასტურად რომ საუკეთესო პროვიზორია, ისიც კმარა, რომ მას იშვიათად ნახავთ მოცლილს. ხშირად მომისმენია მისი კონსულტაციები, თუნდაც ექიმებთან პრეპარატის სიფრთხილით გამოყენებაზე, მის უკუჩვენებებზე და ა.შ.

ბედნიერი დედაა ქალბატონი შორენა. ვაჟებიც გიორგი და თამაზი განათლებულები და შრომისმოყვარენი ჰყავს.

მეუღლე, როგორც აღვნიშნეთ, მისი ცხოვრების თანამგზავრი და საუკეთესო მეგობარია.

სიყვარული, ურთიერთპატივისცემა და ერთგულება ავსებს, აძლიერებს და ალამაზებს მის დიდ ოჯახს. სწორედ ამის გამო დაიმსახურა შორენა ბუკიამ ის მოწიწება და პატივისცემა, რასაც იგი იმსახურებს ხალხში, შინ და გარეთ...

დრო სწრაფად გარბის, შორენა ბუკიას წინ დიდი სიხარული და ოჯახური ბედნიერება ელოდება, –წარმატებული და ძლიერი ქალბატონის მუდმივი თანმდევი.

უფლის მორჩილსა და მოყვარულს სხვა ბედნიერება არც უნატრია. სწორედ სიყვარულის წილ სიყვარულის „ბრალია“ ეს პატარა წერილიც.

კიდევ უფრო გაგიმრავლდეს სიხარული, შორენა!

მერი ლაგვილავა

„მინდა, ჩემი ყოველი თამაში, ხობსა და მთელ საქართველოს მივუძღვნა“

სპორტი ფიზიკური კულტურის შემადგენელი ნაწილია, ფიზიკური აღზრდის მეთოდი და საშუალება, სხვადასხვა ფიზიკურ ვარჯიშებში შეჯიბრებების ორგანიზების, მომზადების და ჩატარების სისტემა.

სალომე საღარაძე *1994 წლის 3 აგვისტოს დაიბადა ქ. ხობში, მისი მშობლები ირინა ჯღარკავა და პაატა საღარაძე წარმოშობით აფხაზეთიდან, გალის რაიონის სოფელ გუდავადან არიან. სალომე ხობის №1 საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეა, ჰყავს 11 წლის და მანონი, რომელიც მძლეოსნობით არის დაკავებული და 4 წლის ძმა „პატარა მოჭიდავე“ ირაკლი.*

სალომე სწავლასთან ერთად სპორტით არის გატაცებული, ის 8 წლიდან ფეხბურთს თამაშობს. თავიდან უბრალოდ მოყვარულის დონეზე, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ მიხვდა, რომ ფეხბურთი სწორედ ის იყო, რასაც სიამოვნებით მიუძღვნიდა თავის ცხოვრებას. ის თითქმის ერთი წელია თბილისში, საქართველოს ქალთა ეროვნულ ნაკრებში ფეხბურთს თამაშობს. მისი ერთერთი მწვრთნელი მამუკა სვანიძე თვლის, რომ სალომე პერსპექტიული ახალგაზრდაა.

სალომეს ფეხბურთმა ბევრი მეგობარი შესძინა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. მიზნად აქვს დასახული გახდეს ისეთი მოთამაშე, რომლის გუნდში აყვანას ნებისმიერი ხელმძღვანელი ისურვებდა. მისი თქმით: „მე ვაკეთებ ჩემი საყვარელი საქმისთვის მაქსიმუმს, დანარჩენი უფლის ნებაა...“

ფეხბურთზე რას გვეტყვი, გეტყობა, რომ სპორტის ეს სახეობა ძალიან გიყვარს, გვიამბე როგორ დაიწყო შენი საფეხბურთო „კარიერა“?

–როცა მივხვდი, რომ ფეხბურთით სერიოზულად ვიყავი დაინტერესებული, მივმართე ხობის სასპორტო სკოლის მწვრთნელ-მასწავლებელს ბატონ რევაზ ქაშიბაძეს, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ჩემი, როგორც სპორტსმენის ჩამოყალიბებაში. შემდგომში მომიწია სხვადასხვა ნაკრებებში თამაშმა, სადაც შევიძინე გამოცდილება, რომელიც ჩემი წარმატების საწინდარი გახდა.

რამ გადაგაწყვეტინა, რომ 8 წლის ასაკში ფეხბურთი გეთამაშა?

–ამის ახსნა ძალიან ძნელია. მაშინ, როცა ჩემი ხნის გოგონები თოჯინებით თამაშობდნენ, მე ბურთს დავსდევდი. ალბათ, ამიტომ გამიჩნდა ასეთი ინტერესი ფეხბურთის მიმართ.

კონკრეტულად რა განსხვავებაა ქალთა და ვაჟთა ფეხბურთს შორის?

–ბევრის აზრით, ვაჟთა ფეხბურთი გაცილებით სანახაობრივია, ვიდრე გოგონათა. ჩვენს ქვეყანაში კი დღემდე თვლიან, რომ ქალი მხოლოდ სამზარეულოში უნდა ტრიალებდეს და არა მოედანზე...

ქალთა ფეხბურთში ყველაზე მეტად რა გაოცებს?

–მოედანზე სუსტი სქესის სიძლიერე...

თავიდან ხობში, შემდეგ კი თბილისში გააგრძელე თამაში, რა იყო ამის მიზეზი?

–ჩემი თბილისში წასვლის მთავარი მიზეზი ხობში გოგონათა ნაკრების დაშლა გახდა. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა იგორ ტყებუჩავამ კი დიდი როლი ითამაშა, რომ თბილისში მეთამაშა. მის ყურადღებას ყოველთვის ვგრძნობ, ის ჩემი წარმატების დიდი გულშემატკივარია, რისთვისაც უდიდეს მადლობას ვუხდი. მინდა ყველას იმედი გავამართლო და წარმატებული ფეხბურთელი გავხდე. მინდა ჩემი ყოველი თამაში ხობსა და მთელ საქართველოს მივუძღვნა.

რა შეიცვალა ნაკრებში შენი გამოჩენით?

–ამ დროისთვის გუნდში ჩემი გამოჩენით რადიკალური ცვლილება არ მომხდარა, ჯერჯერობით ყველაფერი წინაა...

ყველაზე კარგი რომელი საფეხბურთო მომენტი გახსენდება?

–დაუვიწყარი ტურნე ბაქოში, სადაც ორი წარმატებული შეხვედრა ჩავატარეთ, სადაც ბაქოს „ინტერი“ დავამარცხეთ და გამარჯვება ღირსეულად მოვიპოვეთ.

მოდი, ის გავიხსენოთ, რა გრძნობა დაგეუფლა, როცა შენს საფეხბურთო „კარიერაში“ უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანე.

–კარგად მახსენდება ის დღე, როდესაც ქობულეთის ნაკრებს ვეთამაშეთ, სადაც ჩემმა გატანილმა გოლმა წარმატებული ერთი ქულა შემატა გუნდს, ეს ნამდვილად სასიამოვნო განცდაა.

შენი თამაშით ყოველთვის კმაყოფილი ხარ?

–ნაწილობრივ კი.

ხომ არ გახსოვს, რამდენი გოლი გაქვს გატანილი?

–დაახლოებით ოცდაათამდე.

თქვენს ნაკრებს ყველაზე მეტად რა პოზიციაზე უჭირს?

–ვფიქრობ, კარგი იქნება ჩემმა ნაკრებმა თავდამსხმელთა პოზიცია გააძლიეროს.

როგორ დაახასიათებდი საკუთარ თავს, როგორც ფეხბურთელს?

–დღეისთვის როგორც ფეხბურთელი, ბოლომდე ჩამოყალიბებული არ ვარ, მაგრამ ჩემს თავში ვხედავ პოტენციალს, რომ შეიძლება გავხდე იმაზე გაცილებით დიდი, რაც დღეისთვის ვარ.

რაში მდგომარეობს შენი წარმატების საიდუმლო?

–თამაშის უძლიერეს სურვილსა და მონდომებაში.

სალომე, სამომავლოდ რა გეგმები გაქვს, სად აპირებ სწავლის გაგრძელებას, თუ ისევ სპორტით დაკავდები?

–ვაპირებ ჩემი ცხოვრება მთლიანად სპორტს დავუკავშირო.

წიგნის კითხვა უფრო გიყვარს თუ კომპიუტერი?

–ისევ და ისევ წიგნი, მაგრამ თანამედროვე ტექნიკის მიმართაც არ ვარ გულგრილი. მიმაჩნია, რომ ნებისმიერი ადამიანი, პროფესიისდა მიუხედავად, უნდა აკმაყოფილებდეს ინტელექტის გარკვეულ დონეს.

ვინ არიან შენი მეგობრები?

–მყავს დიდი სამეგობრო წრე, რომელთა უმეტესობას ჩემი თანაგუნდელები წარმოადგენენ.

თავისუფალ დროს რითი ერთობი?

–ვკითხულობ, ვუსმენ მუსიკას და ვახერხებ იმასაც, რომ მეგობრებთან გავატარო ამ დროის გარკვეული ნაწილი.

სწავლას, ფეხბურთს, გართობას ერთმანეთს როგორ უთავსებ?

–ჩემს მიერ შედგენილი დროის განრიგი მაძლევს იმის საშუალებას, ერთმანეთს შევუთავსო ეს სამი რამ, ყოველშემთხვევაში დღემდე ასეა...

წარმატებებს გისურვებ!

–გმადლობთ, თქვენც ასევე.

ესაუბრა ნანა კემულარია.

ყურადღებიდან

სკულპტორული საოცრება 100 000 კბილის საწმენდით

35 წლის წინ სკოტ ვივერმა (სკულპტორმა) დაიწყო მშენებლობა სკულპტურულ საოცრებაზე კბილის საწმენდებით. სკულპტურა წარმოადგენს ცნობილ ისტორიულ ადგილებს და სიმბოლოებს.

სკოტი ამბობს რომ, ამ სამუშაოზე 3000 საათი დახარჯა. ამ ნაგებობაში გამოყენებულია მხოლოდ წებო და კბილის საწმენდები, რომელსაც მშობლები და მეგობრები ჩუქნიდნენ. ავტორი აცხადებს, რომ ამ ნაგებობის ანალოგი მსოფლიოში არ არსებობს.

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

დირექტორი
ნატო ლომაია
რედაქტორი
მანანა შულაია
რედაქტორის მოადგილე
ნანი კილასონია
პასუხისმგებელი მდივანი
მერი ლაგვილავა
დამკაბადონებელი
ჯულიეტა ლატარია

მის: ხობი, სტალინის ქუჩა №1
ტელ: 8 (214) 2-21-13; 2-25-81;
855-119-900

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა
შპს „ხობის მოამბე“-ში.
დაიბეჭდა შ.პ.ს.
გამომცემლობა „კოლორში“.
თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით